



აგვისტო და სექტემბერი 1920 წ.



შინაარსი

ქურნალ „ჯეჯილისა“:

| | | |
|-------|---|----|
| I. | გულადი ელენე, სურათი | 2 |
| II. | ცელქი ცაცა, ლექსი თამროსი | 3 |
| III. | ექიმი და სუნავი—ტასოსი | 5 |
| IV. | მილორდი. ამბავი. ან. წერეთლისა | 6 |
| V. | ორი ბატი და კუ—ტასოსი | 10 |
| VI. | გლები, ვეფხი და კატა—აღფასი | 12 |
| VII. | მურზილკას თავადსავალი ანუ ჯუჯათა სამეფო— ნორა დიასამიძისა | 15 |
| ————— | | |
| VIII. | ზამთარი, ლექსი გ. ქუჩიშვილისა | 24 |
| IX. | ცვირსახოცის სამშობლო (დასასრული) მ. იაშვი- ლისა | 25 |
| X. | ქია-ფანდურა ანუ ხარაბუზა. ივ. ელიაშვილისა | 33 |
| XI. | გველის წიწილი და მზე ქაბუკა, ზღაპარი, ნაწ. ქეთო მირიანაშვილის მიერ | 36 |
| ————— | | |
| XII. | ორი დედა, ლექსი შიო მღვიმელისა | 45 |
| XIII. | გამცემი, თარგმანი ან. წერეთლისა | 47 |
| XIV. | დანგრეული ოჯახი (დასასრული) ეკ. გაბაშვილისა | 54 |
| XV. | ტოპსი (ბუნების მეტყველ.) ელენესი | 58 |

ქ უ რ ნ ა ლ ი

1920 წ.

ჯეჯილის

1920 წ.

ხელის მომწერლების საპურადღებოთ

იხილე მეოთხე გვერდზე.



ერმის ქალი ელენე თავისი შატარა ჯანით გადაეღობა ოსმალებს და არ უშვებს მათ სომხების გასაყლევად.



ც ე ლ ქ ი ც ი ც ა .



ამებუტა ხედი ციცა,
გამექცა და აიბუსა,
ბუსრის ასლო სალიხასე
წამოწვა და მოიკუსა.

ციცუნია, ხეძო ციცა!
აბა, ნასე, გორავს კოჭი,
შენთან ასლო დატრიალებს,
წამოჭკარი ძარდათ ჭოჭი,

ძელო ციცას კოჭს უგორებს
სედ დასვეულ კანაფითა,
უნდა ციცა არბენინოს
ხან აქეთ და ხან იქითა! •

ციცა ვითომ არც კი ხედავს,
თვალებს ბუტავს, კუდიანი,
იმის წინ კი აქეთ იქით
გორავს კოჭი ძაფიანი.

ციცუნია, კუდიანო,
რას ცუდლუტობ, ოინბასობ,



გასწი, კოჭსა გამოუდექ,
 გასწი, ჩქარა, ნულარ ნასობ!

უცებ, შესტა ციცუნია,
 კოჭს თათი ჰკრა, განგორა,
 აღმა-დაღმა, სვეით-ქვევით,
 აბსრიალა და აგორა.

ხან თათს გაჰკრაუს,
 ხან ზირს ჰკიდებს,
 ხან ბჭერს, ხან ატრიალებს,
 ძაფში სულ მთლად დაიბლანდა

ისე ურევს გაძლილ ბრჭყალებს
 დაავიწვდა სულ გაბუტვა,
 აღარ ახსოვს სევდა, დარდი,
 გაერთო და განაღისდა
 ციცუნია ცელქი, ძარდი.

თამრო.



ექიმი და მსუნაგა.



რთხელ ერთმა მსუნაგმა კაცმა
იმდენი სჭამა, რომ ავით გახდა
და ექიმი მოიწვია.

ექიმმა ჰკითხა: — რა გტკივაო?

მსუნაგმა უპასუხა: — მუცელი
ძალიან მტკივაო.

— რა სჭამე დღეს?

— ბევრი არაფერი, მხოლოდ
დამძალი ხილი, უპასუხა ავით-
მყოფმა.

მაშინ ექიმმა უბრძანა საჩქაროდ გაეგზავნათ
წამალზე თვალების მოსარჩენათ.

— ბატონო ექიმო, წამოიძახა გაოცებით მსუ-
ნაგმა, — თვალები სულაც არა მტკივა; როგორ უნდა
მიშველოს თვალების მოსარჩენ წამალმა, როდესაც
მე მუცლის ტკივილი მაწუხებს.

ამაზე ექიმმა უპასუხა:

— ეველასე უწინ თვალები უნდა მოიწინო,
რომ კვლავ კარგა დინახო რასაცა სჭამ.

გასო.





მილორდი.

ეფიცებით, ქალბატონო, რომ მილორდი-ქურდი არ არის. ისეთი ჯიშისაა, რომ ზატრონს არაფერს არ წაართმევს. ზირიქით შეძებრებმა იციან ნანადირევს სულ უსლებლათ მიუტანენ თავის ზატრონს. უსათუოთ ფანჯრიდან კატა შემოიპარებოდა და ეველს ის მოიტაცებდა.

— მეც ეს მაკვირვებს, სულ ნახევარი საათით მეზობელთან წავედი. მილორდი თავს მადგა, მიცქეროდა, როდესაც მინდოდა კარების დაკეტვა, მერე მხოლოდ გამოვიხურე. ის ვოველთვის მაცილებდა



სხვაგან რომ მივდიოდით და მაშინ კი კარებ წინ მოწევა, თითქოს უნდოდან დარაჯობა. როცა დავბრუნდით კარი ცოტათი ღია დამხსვდა, თვითონ ჩვეულებრივ ადგილზე წამოწოლილი იყო, და თვალების ბჟუტვით შემომცქეროდა. გაღებული კარები მეუცსოვს და როცა შევედი, ვნახე, რომ განსახმობათ ფანჯარასე დადებული ველების ერთი ნაჭერი მაკლდა. მე მხოლოდ ცნობის მოუვარეობა მაიმულებს გამოვიძიო საქმე. ჩემდნ უნებურათ ეჭვი მეზარება, რადგან ზოგნი იმ ასრისა არიან, რომ მილორდი სხვა მალეობ-გატებივით ქურდია. მე სომ სოფელში ერთი ორი თვით ამოვდივარ; სხვა დროს როგორია, არ ვიცი რა! მიაძბე, ჩემო სერგო, შეძებარი მალელი, მერე მაგისთანა მშვენიერი საიდან გახნდა აქ?

— ცხონებულ გიორგის ბიძაშვილთან ჭიათურაიდან ამოვიდა ერთი ნაცნობი ნემეცი, რომელიც აწირებდა თავის ქვეყანაში დაბრუნებას და თან ამოივანა ეკ მალელი. ჩვენ მხარეში სასოვადოთ ნადირობისათვის არცა სცალიანთ და არც არიან მაგის მოყვარულნი. ორიოდ დღის ქეიფის შემდეგ ნემეცი წავიდა და მალელი, უცაბედათ თუ განკებ, ჩვენსა მიატოვა. ვეულა, ვინც კი ხედავდა მილორდს, მისი სიღამასით აღტაცებაში მოდიოდა: წარმოსადგო, ველ მოღერებული, ბალანი ოქროს ფრათ ულანლანებდა და ჭკვიანი თვალების გამომეტვევლებს, როგორც არა ერთხელ თქვენც გიბრძანებიათ, რაღაც პატრივის ცემას აგრძნობინებდა. მას აქეთ მილორდი დარჩა და დარჩა ჩვენთან, თქვენი ბიძაშვილის ოჯახში. თქვენ რომ შარძან ამობრძანდით სოფელში და ნათესავობაში მისვლა-მოსვლა გქონდათ, მაშინ შევე-

ჩვიათ და მასუკან აღარ გმორდებათ. თქვენი წასწავლის შემდეგ სამი-ოთხი დღე სანდს არა მორდებოდნენ.

— მაინც, რაც უნდა ვუფერო მილორდს—წიწილების ძვლები და გამსმარი ზურის ნატყეხები როგორ გაამდობს ძაგოდენა ძაღლს. მართალია სოფლის დამძეული ძაღვები ვეღარა ბედავდენ მილორდის შიშით მომკარებოდენ და მსოფლიო შორიდან იღრინებოდენ, მაგრამ მაინც სიმშვილი ძნელია, ვის არ გააბედვინებს ქურდობას.

— არა, ჩემო ქალბატონო, ჩვენც ვიცით ზირუტყვის შებრალება. ღორებს რომ მოუძნადებდით საჭმელს, ან საკლავი გვეულებოდა—მას თავის ულუფას არ მოვაკლებდით ხოლმე და გარჩევით ვეღარა შეტს ვაძლევდით. ამ ბოლო დროს მესობლები უჩივიან, რომ დამლაშეობით სიძინდს გვიფუჭებო და ვშიშობ სადმე არ მოასწროს და ავიდღე არ დააყენონ.

ჩემთანაც ხშირათ, თუძვა გაუბედავათ, ამბობდენ რომ მილორდი სიძინდს გვიოხრებსო და შიგ კი ვერ მოვასწართო. მე ვესარწლებოდი, ვეუღას ვეუბნებოდი, რომ ჩემი დაწოლის დროს კარებწინ სძინავს მეთქი და დილით კარებს რომ გავაღებ, იქვე დამისვდება მეთქი. თან ვცდილობდი ბლომათ მეჭმეობა: კვანი, სიძინდი, სილი, ჭადი. მაგრამ როგორ მოუკლავდი სიმშვილს ლომივით ძაღოვან მილორდს. ის ჩემ კარ-მიდამოში დაფრინავდა ჩიტების დასაჭერათ. მაგრამ ეტუობოდა ძალიან დარდობდა, რომ თავის ხელობას—მეძებრობას მოკლებული იყო.

დიდი აღერსით და სიუვარულით გამოვესალმე წამოსვლისას. თითქოს ვგრძნობდი, რომ ვეღარ ვნახავდი.

მართლაც, ორი-სამი კვირის შემდეგ სოფლიდან მოძვიდა ამბავი, რომ მილორდი ქვემოთ სიძინდში მკვდარი იპოვეს. თანაც იწერებოდენ, რომ ცოტასანს შემდეგ სიძინდის ნამდვილი ქურდი მწვემ-სი-ბიჭი აღმოჩნდა და ჩვენი საცოდავი მილორდი უბრალოთ მოჰკლეს. ამასე სერგო მითვლიდა, რომ ჩემი სიტყვა — მილორდი ქურდი არ არის, რომ ვამართლდამ!

ან. წერეთლისა.



ორი ბატი და კუ.



ვაროს ზირს მეგობრულათ სცხოვ-
 რობდა ორი ბატი და კუ. ბატები
 უნდა სხვაგან წასულიყვენ. დიდათ
 შეწუხებულნი ტირილით ესაღმებო-
 დენ კუს.

ისიც ძალიან სწუსდა და თქვა:

— მეც ვნადვლობ, რომ უნდა დაგშორდეთ!
 უთქვენათ როგორ უნდა ვიცხოვრო?

— ჩვენთვისაც ძალიან სამწუხაროა, მაგრამ რა
 გააწეობა! აქედან რომ არ წავიდეთ, სიმძილით და-
 ვინოცდებით.

— მარტო ნუ დამტოვებთ, მეც თან წამიყვანეთ.

— შენთან ვოფნა ძალიან სასიამოვნოა, უთხრეს
 ბატებმა, — არც გვინდა შენი მოშორება, მაგრამ შენ
 ძალიან ხელა დაცოცავ და არც ჩვენსავით ფრენა
 შეგიძლიან. თან როგორ წავიყვანათ?

— აბა, თქვენვე მოიფიქრეთ, მე ისე დანად-
 ვლიანებული ვარ, რომ ვერას მოვიგონებ.

— კარგი, მეგობარო, ჩვენ გამოფნასავთ სამ-
 ვალეებს, თუ კი ჩვენ რჩევას მიიღებ.

— განა შეიძლება, რომ თქვენი რჩევა არ მი-
 ვილო? უთხრა წყენით კუმ. — მე ადრევე უიცნ გაძ-
 ლევთ, ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ მეტყვით.

— აი ჩვენი ზირობა, უთხრეს ბატებმა. სანამ
 ჰაერში ვიქნებით, არ უნდა გაინძრე, სძა-კრინტო

არ უნდა ამოიღო. ეველა, ვინც დაგვინახავს გათვლებს, გაიკვირებს, მაგრამ შენ კი რაც არ უნდა გაიგონო ან დაინახო, ხმა არ უნდა ამოიღო, ჩუმათ უნდა იყო.


კუმ ფიცი გაიმეორა, რომ არაფერს არ მიამცემს ეურადღებას და არც ხმას ამოიღებს.

მაშინ ბატებმა მონახეს მოგრობო ჩხირი. ერთმა ბატმა ნისკარტით ერთი ბოლო დაიჭირა, მეორემ — მეორე. კუ ამ ჯოხს შუაში უნდა მაგრად ჩასჭიდებოდა.

ბატებმა ასე აიუჯანეს ჭყარში თავიანთი ძეგობარი და გაფრინდნენ.

ცოტა ხანს შემდეგ ისინი ერთ სოფელში შეფრინდნენ. სოფლელებმა როგორც კი დაინახეს ამისთანა უცნაური სანახავი, მაშინვე კაცებიც, დედაკაცებიც და ბავშვებიც შარბ გზასე გამოეფინენ. დაიწყეს დაჯა, თუ რას მოახწავებს ეს სანახავი. ეველას უნდოდა თავისი სიტყვა გაეყვანა და ასტედა სპისიელი ევირილი და სმაურობა. კუ დიდხანს ითმენდა, ხმას არ იღებდა. ბოლოს მოთმინება დაჭკარგა. მოინდომა აესხნა ხალხისათვის, რაში იყო საქმი. დაივიწყა ზირობა. გახლო თუ არა ზირი, მაშინვე მიწს დაეცა და მოკვდა.

გახო.



გლეხი, ვეფხი და კატა.

(ზღაპარი)



ვის ასლო ერთ კაცს ჰქონდა
პატარა ენა. მშვენიერი მოსავა-
ლი იცოდა. პატრონი აქირა-
ვებდა მას მასლობელ გლეხებსე.

ტყეში გახდა ვეფხი. გლეხები დაშინდნ და
ადარ ქირაობდნ მიწას. ვინც კი გაბედა, ვეფხის
ანაწერა გახდა. ვცადენ მოველათ, მაგრამ ვერა გა-
აწერს რა.

ენა დარჩა შეუმუძავებელი.

გავიდა დრო. ერთსელ მოვიდა მიწის პატრონ-
თან ვიდაც მიწის მუშა და სთხოვა, მიექირავებინა
მისთვის ის მიტოვებული ადგილი.

— კაცო, სომ არ გადარეულხარ, ვეფხი შევ-
ჭამს, უზასუსა ადგილის პატრონმა.

— ეს ჩემი საქმეა, უზასუსა მუშამ, — შენ მო-
მაქირავე და ვნახოთ, რაც მომივა.

— კარგი, მიუგო პატრონმა და მოჯამაკირე
გაყოლა ადგილის საჩვენებლათ.

მუშამ შეაბა გუთანში ორი ხარი, თან გაყოლა
კატა, რომელსაც გვერდიდან არ იშორებდა არასო-
დეს და გასწია იმ ადგილისაკენ.

მივიდა გლეხი დანიშნულ ადგილას. ხარები
გამოაბა, თვითონ კი დასასვენებლათ მიწვა. უცებ

ერთი ხარო დაფრთხა, საბელი ასწავიტა და მიიძღა. მკორეც რომ არ გაქცეულიყო, გლენმა უღელს ში შეაბა, თვითონ კი ხარის სამეზნელათ გასწია. უცებ კატა აიბუძუნა, ასტა და ტეეში გავარდა. უეუ-რებს გლენი და ჭხედავს—ტეიდან ვეფხვი მოიზარება.

— გამარჯვება, ბიძია, როგორ ხარ?—უთხრა კატამ.

— შენ ვიღა ხარ?! დაიღრიალა ვეფხვა ისე, რომ მთელი ტეე შეიძრა.

— მე შენი დისწული ვარ! უთხრა კატამ.

— მართლაც გვეხარ ხემს გვარს, მაგრამ რათა ხარ ასე ზატარა?

— იმიტომ, რომ იმ კაცს ჩაუვარდი ხელში, უზახუნა კატამ.

— ნუთუ ასეთი ღონიერია? მე სრულებით არ მეძინია მისი! ამაყათ უთხრა ვეფხვა, — მივალ, ხარ-საც შეუჭამ და მასაც მივირთმევ! და ვეფხვი გლენი-საკენ გაექანა.

-- შენ რა უეფ ხემს დისწულს?

— ძლიერო ვეფხვო, მოკრძალებით მიუგო გლე-ხმა, — მე ხომ უნდა დავიღუპო, მაგრამ მსურს გასი-ამოვნო. ერთი ხარო გამეყცა. შენ ეს ხარო დაიჭი, მე კი წავალ და მეორესაც მოგვკრი!

— როგორ დავიჭირო? ჭკითხა ვეფხვა.

— აი, მე უღელს დაგადგამ და შენ ხარს და-მიჭერ.

— კეთილი, უზახუნა ვეფხვა და თვითონ გაჭ-ეო თავი უღელში.

გლენმა საჩქაროთ მოუჭირა რკინის ტაბიკებს ტეავის ღვედები, მერმე აიღო სასრე და ვეფხვს რა-

მოდენჯერმე სურგსედ გადაჰკრა. აქეთ ეცა ვეფხი, იქით ეცა, ვერა განწყო რა. გლეხი კი ურტყავდა და ურტყავს. ხარს შეეძინდა. როგორც იქნა დამორხილდა ვეფხი, განწია გუთანნი ხართან ერთად. კატა კი დგას და იცინის.

— არა გიძავს რა, მია, ნუ გეძინიან, არ მოკვდები.

ვეფხი ხმას არ იღებს, ოფლი კი წურწურით ხამოსდის. შუა დღისათვის მოსწეს ნახევარი საუანე. ვეფხი ვკითხება კატას.

— როდის გამიძვებს შენი ზატრონი?

— დარდი ნუ გაქვს, მია, ჩემოდენა რა განდები, მაშინ.

— ისედაც შენოდენა-და ვარ, — მიუგო ვეფხმა და განწია უფელ ქვეშ.

საღამოსე გლეხმა ვეფხს უფელი ახსნა. ვეფხი დაეცა მიწასე და სამი დღე და ღამე ეგდო ზირ-და-ღრენილი, თვალე მინედილი. ევაკებს ლეში ეგონათ, კორტნა დაუწევს, ერთი კი კლანჭებში მოიგდო.


ამის შემდეგ სხვა ხადირებს რა შესვდებოდნ ვეფხი, ეტეოდა:

— ერთდეთ ადამიანს! რა დაინახოთ, მორს გაეცაღეთ. მართალია, დიდი ღონის ზატრონი არ არის, მაგრამ ჭკვიანია და ძალიან მოსერსებულად.

(თარგმანი).

აღუა.





როგორ გაჩნდნენ ჯუჯები საბურთაო მოედანზე და როგორ იბურთავენ.



კაცუნებს ისე მოეწონათ წარმოდგენა ცირკში, რომ მოუთმენლათ ელოდნენ შემთხვევას კიდევ ჩამოსულიყვენ შირს მიწაზე და თავი შეექციათ ახალი გასართობებით. ჩუმმა-მისანმა შეიტყო, რომ პერცხლები აპრობენ ძალე მთელი დღით დასვენებას. მართლაც პერცხლები ძალე გაჩერდნენ ტყეში, დიდი ქალაქის მახლობლათ და ხეებზე დასასვენებლათ გაიმართენ. კაცუნები მაშინვე ჩამოვიდნენ მიწაზე და დაინახეს მახლობელ შინდორზე შემოღობილი ალაკი, სადაც დიდი სასოგადოება თამაშობდა. მიწაზე იყო ოთხკუთხიანი წრე, რომლის კუთხეებზე იდგებოდა თითო თითო კაცი, დიდი ჯოხებით. შუაში კი ერთი

ბურთით მოთამაშე ესროდა ბურთს რომელიმე კუთხეში
 მდგომარეს. ვიდრე უკანასკნელი დიდი ჯოხით გა-
 დაუსვრიდა ბურთს შემდეგს, ორს უკანასკნელს უნდა
 შემოეზებინათ წრე. წრეს გარეთ იდგა რამდენიმე კა-
 ცი. თუ ბურთი წრეს გადასცილდებოდა, ისინი უკან-
 ვე ისროდნენ. მოთამაშეებს სახესე ეტეობოდათ, რომ
 სათამაშო ძალიან საინტერესო უნდა ეოფილიყო.
 კაცუნებმაც გადასწვეტეს უსათუოთ თვითონაც ეთა-
 მათ. მაგრამ სად ეშოვათ ბურთები და ჯოხები?
 მათ გაგზავნეს ჩუმი-ძისანი ბურთების საშოვნელათ.
 ის მალე დაბრუნდა გაბრწყინებული სახით.

— ვიპოვე, ვიპოვე, ევიროდა იგი და თან ქუდს
 აქნევდა. — გამომევევით მე, ახლოა!

მართლაც, მათგან რამდენიმე ნაბიჯზე იყო ტანთ-
 სავარჯიშო იარაღების მთელი საწეობი. ჯუჯები
 გადაძვრენ ღია ფანჯარაში და მალე მსიარული სი-
 ცილ-კიჟინით გამოვიდნენ გარეთ ბურთებით და ჯო-
 ხებით შეიარაღებულები. მურწილკამ თავისთვის მარ-
 ტო რკინის ბაღე წამოიღო და სახესე გაიკეთა,
 ბურთი არ მომარტუნაო.

ვინც თამაშობაში მონაწილეობას არ იღებდა,
 ჩამოსხდნენ ღობეზე და გრძელ სკამებზე საცქერლათ.
 მოთამაშეებმა კი დაირიგეს ბურთები და ჯოხები და
 შეუდგათ ერთი ამბავი. ტუჩ-გრძელას დაავიწყდა თა-
 ვის სიბერე, კურდღელივით დარბოდა და მუდამ ას-
 წრობდა ბურთს. ზაზა-წვერა და დუნ-დუნდუკი ცალკე
 თამაშობდნენ და სიმარდით მაუურებლებს აკვირვებდნენ.
 ექიმი ქმენით დარბოდა ჯოხით ხელში. მურწილკამ
 იდგა ცალკე სახესედ ბადით და შენიშვნებით გულს
 უწვალებდა თავის ძმებს. თამაშობა დიდხანს გაგრ-

მელდა. უკვე საკმაოდ დაბნელებული იყო, როდესაც
 ჯუჯებმა უკან წაიღეს ჯოხები და ბურთები. მწვე-
 ნიერი სამხრეთის ღამე იყო. უთვალავი ვარსკვლავ-
 კები და მთვარე ნახ ცისფერ შუქს სცემდა მაღამოს.

კაცუნები გაემართენ იქითკენ, სადაც მშვიდათ
 ეძინათ მერცხლებს განთიადის მოლოდინში.

ჯუჯების წახვლა იტალიაში და მუსიკალური ხალ-
 მოების გამართვა.

მრავალ შემოსევების შემდეგ დაღლილობისაგან
 ცოცხალ-მკვდარნი მერცხლები დაემკნენ უჩინარ კაცუ-
 ნიებთან ერთად იტალიის ნაპირებს. ჯუჯები სულაც
 არ დაღლილან ხანგრძლივი მოგზაურობით. აი ეს-
 ლაც გაიქცენ უცხო ქვეყნის დასათვალიერებლათ.

ფართოსლის და ნარინჯის ჭალები, ბროწეუ-
 ლები, გურძენი და ვარდები მათ ფოჯალ ნაბიჯზე
 სვდებოდა. შორს მოსჩანდა ვარდისფერ ნისლში
 გასვეულ მაღალი ცეცხლის მფრქვეველი მთა.

— როგორ მომწონს ვეღაფერი, რა მშვენი-
 ერობაა აქ! იმასოდა მურზილკა.

კაცუნებმა შენიშნეს ღამაში სახლი, საიდანაც
 მშვენიერი სიმღერა მოისმოდა.

— რა შესანიშნავი სალხია ეს იტალიელები,
 შენიშნა ექიმმა, — საცა არა მკონია სიმღერა გესმის.

მშებო, შეახერხა ჩუმმა-მისანმა, მოდი ვნახოთ ვი-
 ნა მღერის.

— ვნახოთ! ერთხმით უნახულებს ჯუჯებმა. მურ-
 ზილკა პირველი შეხტა ფანჯარაზე. მას მიჰყვნენ ტრი-
 ალა-სტუნია, თვალ-ჭეცია და სხვები. ერთი ნუძის
 ზეზე ამერხა და იქიდან უგდებდა გურს. აგრეთვე
 დანარჩენებიც.



— სიმღერას ასწავლიან, აუხსნა ექიმმა მკურნალი
მიუთითო ფანჯარაზე.

— მთელი გუნდია, დაუმატა ვიცინამ და არვიცინამ.

— ჩუმათ, ჩუმათ, ძებო! მე უურის გღებას მი-
შლით, ევიროდა მურზილკა.

ამ დროს ვიცინა და არვიცინა შეძვრენ ფან-
ჯრის ჭურჭრუტანიდან ოთახში და როგორც კი ბაე-
შებმა გაათავუეს მეცადინეობა და დარაჯმა კარები
დაკეტა, მათ გააღეს ფანჯრები. ოთახში შემოვიარდა
მთელი ჯარი ჯუჯებისა. ეველანი დასხდნენ სკამებზე,
მსოფლიო ოთხნი ვარაულებათ დააეყენეს.

— ვინ იქნება ჩვენი დირიჟორი?— იკითხა თვალ-
ჭეუტამ.



— ძებო, მე, მე!— წამოიყვირა მურზილკამ.

— შენ და დირიჟორი?— იცინოდა ექიმი. არა,
ამხანაგებო, დირიჟორათ ავირჩიოთ ტუჩ-კურდღელა,
მუსიკაში ეველანზე მეტი ესმის.



— მართალია, მართალი—გაისმა ეოველ მხრადან.

ტუჩ-კურდღელა გაჭირებით აძვრა კათედრასე და დირიჟორობა დაიწყო. გაისმა შეწუობილი სიმღერა. ჯუჯები კარგათ მღეროდენ. მარტო მურზილკა ჩვეულებრივით უძლიდა და დირიჟორის შენიშვნებს იწვევდა. ეველასე კარგათ მღეროდენ დუნ-დუნდუკი, ზა-ზა-წეერა და ექიმი, რომელსაც მშვენიერი ბანი აღმოაჩნდა. იმდროეს ჯერ ერთი სიმღერა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე, მესამე და ბოლოს მოწაფეების დატოვებული ნოტები აიღეს. ცდილობდნენ ახალი სიმღერა ესწავლათ, მაგრამ ვარაულებმა დაიფიქრეს:— მოდის, მასწავლებელი მოდისო!

ნოტები ეველამ იატაკზე დაუარა და თვალის დასამხამებაზე ესოში გაჩნდენ.

— ვინ მოახდინა ასეთი უწესოება კლასში?— ჰკითხა მკაცრათ მასწავლებელმა დარაჯს.

— ხა! ხა! ხა! ხა! ეს ჩვენ ვქენით!— უპასუხეს ჯუჯებმა. მაგრამ მასწავლებელმა ვერ გაიგონა, რადგანაც მათი ხმა ბუსის ბუჯილსე უფრო ჩუმიან.

დროს გატარება შვეიცარიაში და სროლა ვაშლში მურზილკას თავზე.

ჯუჯები სიამოვნებით დარჩებოდნენ კიდევ იტალიაში, მაგრამ მერცხლებს არ უყვარდათ ერთ ალბას დიდხანს გაჩერება. ისინი ერთი დღის შემდეგ გაუდგენ გზას. ძალე ჩვენი ჯუჯები მერცხლებთან ერთათ მთიან შვეიცარიაში გაჩნდენ. გზაში სვდებოდნათ ძაღალი მთები, თოვლიანი მწვერვალებით, გადარეული ხანჩქრები, უძირო ნაპრალები; მთების კალთები დაფარული იყო ამწვანებული ტყეებით.



მშენიერი სამოკრებით. მიუდგომელ სიმაღლეებზე
 ალზის თხები სმოვდენ. მთის ძირში მოსხანდა თვალ-
 წარ'ტაცვი დაბლობები და ტბები. დიდრონი არწი-
 ვები ღრუბლებში დაფრინავდენ.

ჯუჯები ნაკლებ ეურადლებას აქცევდენ ბუნების
 სიმშენიერეს და მოუთმენლათ ელოდენ მერცხლების
 განყრებას.

აი მათი სურვილიც შესრულდა. დაღლილმა
 მერცხლებმა შესაფერი ადგილი ამოარჩიეს და დასასვენ-
 ნებლათ განყრება გადასწყვიტეს. როგორც კი მერც-
 ხლები განყრდენ მთის წვერზე, ჩუმი-ძისანი ჰირველი
 ჩამოვიდ მინდორზე და შექუირობ:

— უეურეთ, ძისანი და მკილდ-ისრები!

— მოდა, სადმე მიერუებულ ალაგას წავიღოთ
 და ვითამაშოთ—თქვა მურწილკამ.

თქმა და ასრულება ერთი იყო. ჯუჯებმა თავისი
 ერთი ციცქნა ხელებით გადმოზიდეს ძისები და შვილდ-
 ისრები დიდი გაჭირებით. ვსა მთაზე მიდიოდა; ოფლი
 წვალივით ჩამოსდიოდათ. მარტო ერთი მურწილ-
 კა იყო უტვირთოთ, მაგრამ ეველასე მეტს დაზობდა
 და ფაციფუცობდა. ის მუდამ ახერხებდა საქმიდან
 თავის დახწევას და სხვისი ოფლით სარგებლობდა.

ბოლოს ისინა მივიდენ ერთ დაბურულ ტყეში.
 ჰატარა, ეოველ მხრიდან დაჩრდილულ მინდორზე
 დადგეს ძისები და დაიწვეს შვილდისრების სროლა.
 ძისანმა მარტო თვალჭეყიან არტყავდა.

— ვაშა, ვაშა, თვალჭეყიან! უევიროდენ ძეები,
 —შესანიშნავი მსროლელი ეოფილხარ!

— ახლა ეს მოიგონეს, ბუსღუნებდა გაბუტუ-
 ლი მურწილკა, რა კარგი მსროლელი ეკ არის?
 აბა, ერთი ვნახოთ, როგორ გამეჯობრება.



— შენ ისროლე, უთხრეს მძებმა.

— მე ხელს არ გავძრავ, უნახუსა მურზილას

— გეყოფათ ბუტიაობა, სჯობს უური დამიგ-
დოთ, სთქვა ექიმმა. კაცუნებმა დაჭყარეს შვილდ-ის-
რები და განძემოერტეენ.

— ამ რამდენიმე საუკუნის წინათ შვეიცარიაში
ცხოვრობდა ერთი კაცი, სახელათ ვილგელმ ტელლი.
ის მთელ შვეიცარიაში განთქმული იყო, როგორც
უველახე კარგი მსროლელი. ეს კი ბევრს ნიშნავს
იმ ქვეყანაში, სადაც უგანასწავლი გლეხი თვალჭეუ-
ტიაზე უკეთესი მსროლელია.

ეს ამბავი ძალიან საეურადღებო იყო კაცუნე-
ბისათვის. მხოლოდ მურზილას მოშორდა კრებას და
პატარა სარკეში იხედებოდა, რომელიც მუდამ თან
დაჭქონდა. იმავე დროს კი გულ-მოდგინებით უგდებდა
ურს ამბავს.

— შესობლებს უეჭარდათ მამაცი და სამართ-
ლიანი ვილგელმი, განაგრძო ექიმმა, არ უეჭარდა
მხოლოდ ვილგელმი იმ სოფლის უფროს და ეოველ-
თვის ცდილობდა შეევიწროებინა იგი. ერთხელ ულ-
მობელმა უფროსმა მოიხმო ვილგელმი და უთხრა:—
მე გამიგონია, რომ შესანიშნავი მსროლელი ხარ;
მე მინდა რომ საქმით დამიმტკიცო ეს, შენ უნდა
შობრტვა ისარი ვაშლს, რომელიც შენი პატარა შვი-
ლის თავზე იდება. საწვალი მამა აკანკალდა: „შე-
მიწვალე, შევედრა ის, სომ შეიძლება ავცდე, მაშინ...“

— მამა, რის გეძინია?—განაწვევტინა ამ დროს
შვილმა, განა იწინთანა მსროლელს, როგორც შენ
ხარ, შეიძლება ასცდეს მიზანში ნასროლი! მომეცით
ვაშლი! მესროლე, მამა, მესროლე! ამბობდა ის და



ამაგათ უცქეროდა მკუერებლებს. გამბედავ ბავშვს და ადეს თავსე ვაშლი. გაიხუხუნა ისარმა და მკუერებლებმა დაინახეს გადაუვითლებული მამა და მოლიმარე ბიჭუნა, გახურეტილი ვაშლით თავსე.

— რა ბიჭია! წამოიძახა ეველამ, რა ბიჭია! საფიქრებლათაც კი საშინელია!

— რა არის აქ საშინელი? — მოისმა მურწილკას სმა — თუ გინდათ მეც ასე მოჭიქცევი.

— ნუ კვესულობ, მურწილკა, შენიშნა ექიმმა.

— არ შეძებინდება, იმეორებდა მურწილკა, მოიტანეთ ვაშლი.

რამდენიმე კაცუნია გაკზუნეს ვაშლის მოსატანათ. იმოვეს ვაშლები, მურწილკას თავსე ორჯედი დიდი, ისე რომ მიხანში ამოღება ადვილი იყო. დიდი გაჭირვებით მოათრიეს შიმი ბარგი.

— ნუ თუ მართლა გინდათ მესროლოთ? ტიროდა მურწილკა — მას არ ეკონა, თუ ძმები მართლა დაიჯერებდენ მის კვესნას.

თავსე რომ ვაშლი დაადეს, მან განკალით დაიუვირა: — თვალჭეეცია, ჯერ სსვა ვაშლს თუ მოარტვამ, მაშინ მოგცემ სროლის ნებას.

თვალჭეეციამ ესროლა და ვაშლი შუასე გააპო.

— ვაი, მე უბედურს, ქვითინებდა მურწილკა, თვალჭეეცია, ჩემო მვირფასო, ცოტა მაღლა დაუმიხნე, თავში არ მომარტვა!

— ნუ გეძინია, არ აგაცდენ, შენ მხოლოთ არ გაინძრე.

მკვესარა მთელი ტანით თრთოდა, ძმები კი დასცინოდენ, რადგანაც იცოდენ, რომ არა ევენებოდა

რა ვიცნობ და თვალჭუჭყუტობ დაუ იხსნეს, ისარმა დაიშუსუნა და ამასთან ერთათ გაისმა ისეთი ხმა, რელი კივილი, რომლის მსგავსი ჯუჯებს თავის სიცოცხლეში არ სმენიათ.




— ეველა მურზილკას მისცვივდა. ის უვნებელი ეგდო მიწასე და აკანკალებდა, თითქოს გააციაო.


— ვაიძე, მოკლეს, მოკლეს მურზილკა—კუნესოდა ის—ნუ მოდიხართ, მე უკვე მოვკვდი, ისარმა გამიხურიტა თავი.

— ეველამ სიცილი დაიწყო. მურზილკა ნელ-ნელა წამოდგა და ძმების დაცინვაზე საშინლათ განწერა.

(უმღლევი იქნება.)

ნაორა დიასამიძე.





ზ ა მ თ ა რ ი.

ღრე დაგვიდგა ზამთარი,
აღრე დათოვლა ძიებია;
აღრე დასრო სიცივემ
ველძინდურის უვაულებია.

დაურსებულან ბაღები,
ფანჯრიდან იჭეიტებია;
ვერ გამოხულან კარეთა
და ველარც სახლში დგებია.

მოწუნელი ჭვავთ ბებიაც,
ვერ გაუთბია ძელებია;
ვერ უამბნია ზღანრები,
ვერც იგავარაკებია.

გ. ქუჩიშვილი.





ცხვირსახოცის სამშობლო.



ოდესაც საშიში აღარა იყო რა, მენდი ჩამოვიდა ძირს, ღმერთს მადლობა შესწირა და გაუდგა გზას. გზა არ იცოდა და მიდიოდა ღვთის ანაბარა. გზა და

გზა ნაყოფებითა და მცენარეებით საზრდოობდა. აღარც კი იცოდა რამდენ დღეს იხეტიალა ტყეში. ამის საბედნიეროთ ეს ტყე არ იყო ტროპიკული ტყე, სადაც მხეცები სცხოვრობენ ხოლმე.

ბევრი ხეტიალის შედეგ, მენდი გამოვიდა შარა გზაზე; ხოლო აქ იგრძნო შიში. მან იცოდა, რომ ყოველი პლანტატორი სიამოვნებით მიჰგვრიდა პატრონს, მაშინ კი მოჰკლავდნენ ცემით; მაგრამ ეს კი არ აშინებდა საწყალ დედაკაცს; მას ეშინოდა, რომ ველარ ვლირსებოდა თავისი პატარა გოგონას ნახვას, რომელიც შეიძლება უკვე ხელ ახლა იყო გაყიდული. ამის ფიქრში სულ ცივდებოდა და თავის შეუმჩნევლათ ნაბიჯს უმატებდა.

გზა თამბაქოს პლანტაციების შუა მიდიოდა, სადაც ჯერ მუშაობა არ დაწყებულიყო, კიდევაც ამან უშველა გამოქცეულს მენდის. ორჯერ-სამჯერ დაეწინენ ზანგები დასაქვრათ, მაგრამ დაელაპარაკებოდნენ ხოლმე თუ არა, ის მშვიდობიან სახეს მიიღებდა და ეუბნებოდა, რომ ის თავის გათხოვილ დასთან იყო სტუმრათ, სადაც მისმა პატრონმა გაუშვა და ეხლა სახლში ბრუნდება.

იმ მამულის გზის გამოკითხვა, სადაც დინამიყო-



ფებოდა, ვერ გადავწყვიტა. ერთ დილას მენდი ერთ მე-
ბატონის უშველებელ სახლს მიაღვა. — აბა, მათ მისთვის
სახლია, სადაც ჩემი ნუგეში, ჩემი საყვარელი შვილი
იყოფება?! — ოქრობდა მებატონის სახლის გარს შე-
მორტყმულ ბუჩქებში განაბული მენდი. აივანზე თეთრ-
კანიანი ბავშვები თამაშობდნენ; ორ უმფროს ბიჭს
კოკოსის კაკალი ეჭირათ და სცდილობდნენ როგორ-
მე გაეხვრიტათ; სამი პატარა ქალი ხალიჩაზე ისხ-
დნენ და რაღაცას ჰკერავდნენ. მათ შორი ახლო ახალ-
გაზრდა, ლამაზი ქალი იჯდა და ქსოვდა. «არა, ესენი
არ იყიდნიან ბავშვებს, დაუკითხავათ არ წაართმევენ
და არც მე გამცემენ!» დაილაპარაკა მაღალის ხმით
მენდიმ და პირდაპირ აივნისაკენ გაემართა.

— ო, ქალბატონო! ნუ გააგდებთ უბედურ დე-
დას, რომელსაც წაართვეს ერთად ერთი შვილი. ახ, ჩემს
ბავშსაც ხომ ვუყვარვარ! განა თქვენ მისცემდით ერთ
ერთ თქვენ შვილს, სხვას, ვისმეს, ბოროტ ხალხს? ნუ გამ-
ცემთ!.. ლაპარაკობდა მენდი ხელების მტვრევითა და
ტირილით.

ქალს ჯერ ძალიან შეეშინდა, ასე უცბად რომ
გამოეცხადა ზანგის დედაკაცი, მაგრამ, მალე გონს
მოვიდა და მიხვდა, რაცა სურდა საბრალო დედაკაცს.
ბავშვები დედას მიუახლოვდნენ და სიბრალეულის თვა-
ლებით შესცქეროდნენ ჩამომხმარ უცნობს.

— მიშველეთ, მირჩიეთ, როგორ მოვძებნო შვი-
ლი! — ქვითინებდა მენდი.

ქალმა მენდი ფეხზე წამოაყენა, გვერდზე მოისვა
და თანაგრძნობით გამოჰკითხა ყველაფერი. არა ერთ-
ხელ იტირა მისი ლაპარაკის დროს ქ.-მა რაიტმა. თან-
კი სცდილობდა დაემშვიდებინა როგორმე.

— ჩემთან დაისვენე, მოლონივრდი და მერე გა-
დავსწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ! ნუ გეშინიან, ჩვე-
ნთან შენ ხელს არავინ გახლებს, დამშვიდებული იც-
ხოვრე, მანამ მოვიფიქრებდეთ რასმეს.

დატანჯულ მენდის გაუხარდა, რომ კეთილ ხალხ-თან შეეძლო დასვენება და სიამოვნებით დასთანხმდა მენდი სამზარეულოში მოათავსეს. მოუთმენლად ელოდა, როდის მოიგონებდნენ მას. მესამე დღეს ოთახში დაუძახეს. ღელვისაგან მუხლები ეკეცებოდა, როდესაც ქალბატონის საწოლ ოთახში შევიდა.

— კარგი ამბით უნდა გაგახარო, — უთხრა ქ. რაიტიმა შემოსულს. — ჩემმა ქმარმა იცის სად იმყოფება შენი დინა. სწორეთ იმ ქალთანა აქვს საქმე, სადაც ის არის და გამოისყიდის კიდევ თუ ეს შესაძლებელი იქნება.

მენდიმ ლაპარაკი არ გაათავებინა, მუხლებზე დაეცა, ქალბატონს ჰკოცნიდა და მღუღარე ცრემლებს ჰღვრიდა.

— ყური დამიგდე, რა გითხრა; აბა კმარა, ადექი! აი აგრე, დაჯექი და მომისმინე, — თქვა ქ. რაიტიმა.

— ჩვენი კანონით ჩვენ ნება არა გვაქვს შენ შევინახოთ სახლში, როგორც გამოქცეული, მაგრამ იცხოვრე, მანამ გავიგებდეთ რასმეს დინას შესახებ. მერე იქნება შენც მოგიხერხოთ რამე. ეხლა დამშვიდდი და უცადე.

ადვილი სათქმელია, უცადე! მენდის წუთები დღეებათ მიაჩნდა, დღეები — კვირებათ. ხან დაღონებული დადიოდა ოთახებში, ხან უცბად საქმიანობას მიჰყოფდა ხელს. ეხმარებოდა მოახლეებს საქმლის კეთებაში, ალაგებაში.

გაიარა გრძელმა, დაუსრულებელმა კვირამ და მისტერ ჩარლზიც დაბრუნდა. ღამე იყო, ყველას ეძინა, ხოლო მენდის არ სძინებია, მის მოლოდინში იყო და მის მეტსაც არავის გაუგია ბატონის მოსვლა, მაგრამ ვერ გაუბედა შეწუხება და დღის მოლოდინში თეთრათ გაათენა.

დილა აღრიან ბატონი შევიდა მასთან. აღერსიანათ უახრა: „მენდი, შენი დინა იმ პლანტაციასზე აღარ დამხვდა, სადაც მეგულებოდა, იგი ერთ ინგლისელ ოჯახისთვის მიუყიდიათ.“



— როგორ მიუყიდიათ! დაიკვნესა უბედურმა და მომაკვდავის ფერი დაედო, იატაკზე დაეშვა, მკვრივ თვალებით კი ეჭუდარებოდა განეგრძო ლაპარაკი.

— დიახ, შენი შვილი იმიტომ გაჰყიდეს, რომ მოწყენილი იყო, სულ ერთავად ტირიდა და კინალამ ავათაც არ გახდა. ქალბატონს მობეზრდა მისი ლოლიაობა და სხვა ოჯახს მიჰყიდა. თვითონ იმ პლანტაციის პატრონმა მითხრა, როდესაც მისი ყიდვის სურვილი განვაცხადე. ყველაფერი გამოვიკითხე და გავიგე, რომ შენ ბავშვს კარგათ ექცევიან, და თუ ღმერთმა ინება, იქნება გამოვისყიდო კიდევცა ამ ცოტა ხანში.

მენდი გატაცებებით უსმენდა მისტერ რაიტს; როდესაც მან ლაპარაკი გაათავა, მენდი ძლივს-ძლიობით წამოდგა იატაკიდან და ტორტმანით ალყაფის კარგბისაკენ გასწია.

— სად მიხვალ, დედაკაცო! ნუ წახვალ ჩვენგან, — გააჩერა პლანტატორმა. — ყველგან ცნობაა გაგზავნილი შენი გაქცევის შესახებ და ყველა გზებზე გეძებენ! დარჩი, აქ შენ ხელს ვერავინ გახლებს, მე კიდევ ყოველ ღონისძიებას ვიხმარ გიშველო.

მისტ. რაიტს დიდხანს აღარ მოუცდია, წავიდა მენდის პატრონთან, ვითომ შარშანდელი ბამბის სასყიდლათ, ნამდვილათ კი საბრალო დედაკაცის გასანთავისუფლებლათ.

III

ახალი პირის მოსვლამ პლანტაციაზე დიდი ცნობის მოყვარეობა გამოიწვია ზანგებ შორის; ზოგს გაყიდვისა ეშინოდა, ზოგს პირიქით სურდა რამე ცვლილება მომხდარიყო მის ცხოვრებაში.

როდესაც ზანგებმა ვაჭრის მოსვლა გაიგეს, ძალიან აღელდნენ. ხოლო ერთმა კვიმბომ არა იცოდა რა, იგი ავითმყოფი დამპალ ჩალაზე იწვა. მისტერ ჯონსონმა მოგებით გაჰყიდა ბამბა და მშვენიერ გუნება-



ზე იყო. მისტერ რაიტმა ამ შემთხვევით ისარგებლა და ფრთხილათ დაუწყო ლაპარაკი ზანგებზე.

— ოხ, ეს უზგავ'ები! ვერ წარმოიდგენთ, რამდენ მწუხარებას მაყენებენ! ეხლახან ერთი პაწია გომბიო გავყიდე, მერე, როგორა გგონიათ? დედაც მაშინვე გაიქცა, მას გამოუდგა უკან და აი აქამდინ არსადა სჩანს, მამა კიდევ ავად გახდა! ვინ იცის თუ რა მოხდა!

— ის ზანგი ცოცხალია კიდევ? ჰკითხა სიბრაზისაგან აკანკალებულმა მის. რაიტმა, თუმცა ცდილობდა გარეგნულათ მშვიდობიანი სახე მიეღო.

— ცოცხალია, მაშ რა მოუვიდოდა! თუ გნებავთ, სულ უბრალო ფასში დაგიტოვობთ;

მისტერ რაიტი სიამოვნებით დასთანხმდა. ცოტა ხანს უკან კვიზბო ახალი პატრონის მფლობელობაში გადავიდა.

— მაგასთან ერთად, იქნება მაგისი ცოლიც გაჰყიდოთ?

— როგორ თუ ცოლი! განა თქვენ იცით სად იმყოფება მაგისი ცოლი? ო, ერთი ის მაპოვნინა!!

— მერე, რას იზამდით? გააწყვეტინა მისტ. რაიტმა. — თქვენ ის რათ გინდათ? მწუხარებისგან ალბათ ისე დაბერდა და დასუსტდა, რომ არავითარ მუშაობისათვის აღარ გამოვადგებათ, მე კი რამე სამაგისო საქმეს უშოვნის სახლში... მართლა, გაჰყიდეთ, თქვენთვის უკეთესია: სულ ერთია თქვენ აღარ დაგიბრუნდებათ და თუ ღონე იხმარეთ, მაშინვე თავს მოიკლავს.

დიღხანს არ სთანხმდებოდა, მაგრამ, როდესაც გამოიანგარიშა, ჰკუაში მოუვიდა და დასთანხმდა.

კვიზბოს სრულებით არა შეეცყო რა, არც წყენა, არც სიხარული. მან არც კი იკითხა, თუ სად მიჰყავდათ, როდესაც ამხანაგებმა ფრთხილად დააწვინეს ურემზე; მაგრამ, როდესაც გზაში მისტერ რაიტმა შეატყობინა, რომ ერთი დღის შემდეგ თავის ცოლსა

ნახავს, ორივე ერთად იცხოვრებენ ამასთან, ამათ აღარავინ რას ერჩის და არც არავინ აწყობს. ავათმყოფს ჩამქრალი თვალები გაუბრწყინდა, სადაც უსაზღვრო მადლობა და სიხარული გამოიხატებოდა. როდესაც ახალმა ბატონმა შეხედა, თვალები ცრემლებით ავესო და იქით მიიხედა, რომ არ ატირებულყო.

როგორა სტიროდა სიხარულისგან მენდი და რა მადლობასა და ლოცვა კურთხევას უგზავნიდა თავის ბატონს, როდესაც კვიმბომ უამბო, რომ ეხლა ისინი ბოროტ პლანტატორს აღარ ეკუთვნიან.

კვიმბო მალე წამოკეთდა, მენდიც მისი ყურებით დამწვიდდა. კვიმბო სამაგალითო ფეჩარი იყო, იგი საფეიქროში მოათავსეს, სადაც მთელი მოსამსახურეების სიყვარული დაიმსახურა. სადა, წყნარი კვიმბო ყველაზე ადრე დგებოდა, ყველაზე გვიან წვებოდა და სუსტსა და მოხუცებულს სიამოვნებით ემბარებოდა. მისი ნაქსოვები ისეთი მაგარი და სუფთა გამოდგა, რომ მალე შორს გაითქვა სახელი და ყველა ვაჭარი მისტერ რაიტისაგან ყიდულობდა ჩითყულობას. კვიმბო უმფროს მექარხნეთ გაამწესეს, ხოლო ნახევარი წლის შემდეგ ზედამხედველობა მისცეს და კარგი ჯამაგირიც დაუნიშნეს. არც მენდი ჩამოუვარდებოდა მუშაობაში. ესეც მხარში ამოსდგომოდა და რასაც შოულობდნენ და პოულობდნენ, დინას გასანთავისუფლებლათ ინახავდნენ.

რაიტის ოჯახში ჩვეულება იყო უმფროსი შვილის დაბადების დღეს მოსამსახურეების დასაჩუქრება.

დიდიდან ეზოში და აივანზე აუარებელ ზანგებს მოეყარათ თავი. ზოგს ყვავილები ეჭირა ხელში, ზოგს ხილი, ზოგს რაღაცა სათამაშო. თორმეტის წლის ტომი თვითონ ურიგებდა ცხვირსახოცებს, კაბებს და სხვა წვრილმანს. ზანგები სიხარულით ულოცავდნენ ახალგაზრდა ბატონს და თავის მხრითაც მიართმევდნენ საჩუქარს.

ამ ხალხში კვიმბო და მენდიც ერივნენ. საერთო სიხარულში, ესენიც მონაწილეობას იღებდნენ, მებოდნენ, თუმცა მწუხარებით სავსე ჰქონდათ გული. მენდი თავის საყვარელ შვილზე ფიქრობდა, რომელიც ამოდენა მანძილზე იყო დაშორებული, რომლის შესახებ დიდი ხანია არა იცოდა რა და ჩუმათ ცრემლებს იწმენდა. მალე ჯერი ამათხედაც მიდგა.

— დედა! მამა! გაისმა ბავშვის აღელვებული ხმა. მანამ ცოლქმარი გონს მოვიდოდნენ, გაღებულ კარებიდან გამოვარდა და კისერზე ჩამოეკიდა პატარა ბავში, რომელსაც ასე დიდხანს ელოდნენ. ჯერ არავინ არა ჰკითხავდა, თუ საიდან და როგორ გაჩნდა აქ. ყველანი შემოეხვივნენ ამ სიხარულით სავსე ჯგუფს, რომელნიც დიდი ხნის დაშორების შემდეგ შეხვდნენ. დინა წინა დღით გამოესყიდნა მისტერ რაიტს.

IV

გაიარა ბევრმა წელმა. კვიმბო და მენდი მუშაობდნენ რაც შეეძლოთ და მისტ. რაიტი გაამდიდრეს კიდევაც. კვიმბოს ქსოვილებმა ისე გაითქვეს სახელი, რომ ყველა პლანტატორი შურის თვალით უყურებდა რაიტს და რამდენჯერმე დიდი ფული შეაძლიეს კვიმბოში, მაგრამ, რაიტი ვერაფრით ვერ მოისყიდეს. რაიტს ისე შეუყვარდა ზანგის მშრომელი ოჯახი, რომ რაც არ უნდა ეძლიათ, არაფერზე არ გასცვლიდა. დინა, რომელიც რაიტმა ტომის დაბადების დღეს გამოისყიდა და თავის მშობლებს დაუბრუნა გაიზარდა, გალამაზდა, და მვენდა და ეხლა ყველაზე დაახლოვებული მოახლის ადგილი ეჭირა ქალბატონთან.

ათი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც დინა გამოისყიდა ბატონმა. ამერიკაში ყველა ზანგები გაანთავისუფლეს და მათ შორის ჩვენნი ნაცნობებიც, მაგრამ ესენი აღარ მოშორებიან თვის პატრონს, სამუდამოდ ამათთან დარჩენ.

ყველაფერი ეს თვითონ მენდისაგანა მაქვს გაგო-

ნილი, და მთავრა თავისი ამბავი ცხვირსახოცმა, მას თავის თევზადასავალზე ლაპარაკი უყვარდა ხოლმე, როდესაც სარკადი. ამას უნდა დაუმატო, რომ მე, კვიმბოს გაყიდვის შემდეგ ჯონსონის პლანტაციიდან მომხსნეს და სხვა ბამბასთან ერთად მეც რაიტთან გამგზავნეს, სადაც დიდ ხანს ვიყავით გამომწყვდეული ბელელში. დინას დაბრუნების შემდეგ კიდევ ერთმა წელიწადმა გაიარა, რო ჩვენ გამოგვიყენეს. მე უენი კარგი ნაცნობების ხელში ჩავარდი, რომლისაგანაც გავიგონე ეს ამბავი.

— ახ, რა მშვენიერი კაბაა, ჩულქები! რა ლამაზი ცხვირსახოცი! — შეჰყვირა გამოღვიძებულმა ლილიმ და ლოგინიდან წამოვარდა. დიდ ხანს ესაყვარლა, ეალერსა თავის საჩუქრებს, მერე ჩაიცვა ახალი ტანისამოსი, ხელში ცხვირსახოცი დაიჭირა და დედასთან გაიქცა მადლოების გადასახდელათ.

ლილი ძალიან უფროთხილდებოდა თავის ნივთებს, დიდხანაც ატარა, მაგრამ მაინც დაძველდნენ და გაფუჭდნენ. შემდეგ ეს ცხვირსახოცი ლილიმ გამზრდელს აჩუქა, გამზრდელმა ერთ პატარა გოგოს, გოგომ კიდევ ეს უკვე მჩვრათ ქცეული ცხვირსახოცი მისცა ნაჭრების მომგროვებელს, რომელიც ქუჩა-ქუჩა აგროვებს ძონძებს.

— მერე როგორა გგონიათ რა მოუვიდა ამ ჩვარს? ხომ არ გადაადგეს? ბევრი ცვლილების შემდეგ იგი გადაიქცა სუფთა, თეთრ ქალაქად, რომელზედაც კვიმბოს, მენდისა და დინას თევზადასავალი დაწერეს.

მ. იაშვილია.





ჭ ი ა - ფ ა ნ დ უ რ ა

ანუ ხარაბუზა.



რავლისაგან მრავალი სულიერია დე-
დამიწაზე, რომლის არსებობა და
გაჩენა იმ თავიდან დღემდე აკვირ-
ვებს ადამიანს. ამ სულიერთა შო-
რის იმყოფება ჭია-ფანდურაც, რო-

მლის ახირებული საქციელი ისე აკვირვებდა ძველ
ეგვიპტელებს, რომ იგი მათ ღმერთთა შორის ჩარიც-
ხეს და მოწიწებით თაყვანსა სცემდნენ არა თუ ამ
ქოლოს, არამედ მის მსგავსათ გაკეთებულს კერპსაც.
ამ კერპებზედ აწერდნენ ხოლმე სხვა და სხვა საღრმ-
თო წარწერებს და ატარებდენ გულზე ძვირფას ავ-
გაროზათ. მასვე ჩაატანდენ ხოლმე საფლავში მიცვა-
ლებულებს ნიშნათ მომავალ მკვდრეთიდ აღდგომისა.
ეს ჩვეულება ეგვიპტელებიდან მიიღეს ეტრუსკებმა,
ბერძნებმა და თვით პირველი დროის ქრისტიანებმაც
კი. მიცვალებულთა მომავალ აღდგომის სიმბოლოთ
ეგვიპტელები რაცხდნენ იმ გარემოებას, რომ ეს ქო-
ლოები თავის მიერ გაკეთებულს ბურთულებში სდებ-
დნენ კვერცხს და ინახავდენ მიწაში გათხრილს ორ-
მოებში. ასეთი იყო რწმენა და წარმოდგენა ეგვიპ-
ტელებისა იმის გამო, რომ მათ არ ესმოდათ ის უბ-
რალო, ჩვენთვის დღეს ადვილათ გასაგები ცხოვრება,
რომელსაც აწარმოებს ჭია-ფანდურა, ანუ „ფუნის კვარ-
კვალიტა“, როგორც მას იმერეთში უწოდებენ. ვის
არ უნახავს ჩვენს ქვეყანაში ის მრგვალ-თავა, შავი,
მზინავი და მაგარ-ფრთიანი ქოლო, რომელიც ჰუდამ
საქონლის პატივში (ფუნეში) ფუსფუსობს და „ფუნეს
აკვარკვალიტებს“? ისიც ყველას ენახება, თუ რა რი-
ვად მიაგორებენ ქოლოები ამ „დაკვარკვალიტებულს“

ფუნეს, როცა ერთი მათგანი თავით და მეორე უანა ფეხებით მიაგორებენ ბურთულას ადრევე გათბობის ორმოსაკენ. ამ ბურთულაში დედალ ქოლოს უკვე ჩადებული აქვს კვერცხი, იქიდან გამოიჩეკება ჭია, რომელიც საზრდოობს ამ საკვებით — ფუნით და რომელიც შეიდეგ დაპარკდება, რათა პირველს გაზაფხულზე გამოჰყოს თავი დედა-მიწაზე უკვე დამთავრებული მწერის — ჭია-ფანდურის სახით. ეს ქოლოც იმგვარათვე შეუდგება თავის ცხოვრებას, როგორათაც მისი დედ-მამა. რასაკვირველია, როგორც ყოველ სულიერს, ამ ქოლოებსაც აქვთ თავისი სიხარული და მწუხარება. მათშიაც განუწყვეტლივ სჩქედს სურვილი, რომელსაც სიცოცხლე ჰქვან. ამიტომაც ისინი ამზადებენ თავის საზრდოს, სცდილობენ გამრავლებას მტერი კი ბევრი. ჰყავს ამ საბრალო ქოლოს, ხოლო მოყვარე არც ერთი. სწორეთ ამასა ჰქვია დურობა.

— რატომო? — დაეკითხებით.

— იმიტომ, ჩემო მეგობრებო, რომ ჭია-ფანდურა დიდათ სასარგებლოა ადამიანისათვის მით, რომ სპობს მყრალს ცხენისა და ხარ-კამეჩის პატივს ღია, გაშლილს ადგილებზე და მასთანავე აფხვიერებს და აპატავებს იმ მინდორ-ველს, რომელიც არის ადამიანის მასაზრდოებელი. გაპატივებული და გაფხვიერებული დედა-მიწა წარმოაცენებს ხოლმე პურის უხვს მოსავალსა და ახარებს მთესველის გულსა. ისიც ისეთივე და უღალავი მიწის მუშა არის, როგორათაც მხენელ-მთესველი. მასაც ბევრი მტაცებლები ჰყვანან, როგორათაც ყოველს მუშას. აგერ ჭია-ფანდურას დაუკვარკვალიტებია თავის და თავისი შთაჰომავლობის საზრდო და აშრობს მას მზეზედ. საიდანღაც გაჩნდება მუქი ახორა, ჭია-ფანდურები და მოსტაცებენ ხოლმე დაზადებულს საზრდოს. აქ კი შეიქნება ფიცხელი ომი და, რასაკვირველია, გამარჯვება მისია, ვისაც

მეტი ღონე და ხერხი შესწევს. ყველას მოგეხსენებათ, რომ ყოველი სულიერი საზრდოსათვის წვალობს იბრძვის. არა თუ სულიერი, მცენარეც კი. ხოლო წყნარი და პატიოსანი მუშაკი თავისი შრომით იძენს ამ საზრდოს და არამზადა, ონავარი კი მტაცებლობითა და ძალადობით. აი, აქ არის ჩაყრილი ცხოვრების საფუძველი და ყოველი არსება სცდილობს იცხოვროს და იბრძოდოს პატიოსანის იარაღით: — შრომითა და გამჭრინობით. ქია-ფანდურა უღონო მწერია და მისი შრომის მოყვარეობა სამაგალითოდ უნდა ჰქონდეს თვალწინ ადამიანს, როცა უყურებს მინდორველში მუდამ მოუსვენრათ მომუშავე ქია-ფანდურას, მის საუცხოვოთ დამზადებულს ბურთულებსა და საგანგებოთ ამოთხრილს ორმოებს. ნუ დავივიწყებთ, რომ ბუნებაში ყოველს არსებას, აქვს მინიჭებული თავისი ადგილი და სიცოცხლის უფლება, გარდა მუქთა-ხორა პარაზიტებისა, რომელთა სიცოცხლე და კეთილდღეობა დამოკიდებულია იმ არსებათა სისუსტესა და უმწეობაზე, რომელთა ხარჯზედაც ისინი სცხოვრობენ. ნურავინ შეისვამს ზურგზე პარაზიტს, ნუ ასაზრდოებს მას თავისი უმეცრებითა და უმწეობით და პარაზიტები გაქრებიან დედა-მიწის პირისაგან. ხოლო პატიოსანს მუშაკს, ხელს ნუ უშლით აწარმოოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც შეუძლია. დარწმუნებულნი იყავით, რომ ბუნების კანონის მეოხებით ისე აქვთ მოწყობილი ცხოვრება, რომ თვითონვე შეუძლიანთ შეიტანონ რა ცვლილებაც შესაძლოა. თუ ეს ასეა, მაშ, დაე, ყველამ ისე იცხოვროს როგორც უნდოდეს.

თავისუფლება მიეცით მშრომელს!

სიკვდილი მუქთა-ხორა პარაზიტებს.

ივანე ელიაშვილი.



გველის წიწილი და მსეჭაბუკი.



ყო ერთი ხელმწიფე. შვილი არა ჰყავდა. ეხვეწებოდა ღმერთსა:

— ერთი შვილი მომე და თუნდ გველის წიწილი იყოსო. უსმინა ღმერთმა და მიეცა შვილი—გველის წიწილი. ჰყავდათ ერთს ოთახში, დაწილდა საშინელი ხმით. შეწუხდა ხელმწიფე და ბრძანა:

— წაიყვანეთ ქალაქ გარეთ, დიდი ხარო გათხარეთ და შიგ ჩააგდეთო.

გათხარეს დიდი ხარო, წაიყვანეს გველის წიწილი და შიგ ჩააგდეს. დღეში თითო ადამიანი მიჰყავდათ, ჩაუგდებდნენ და ხელათ გადაჰყლაბავდა. ჯერი მიდგა ერთს დედაკაცზე. იმ დედაკაცს თავისი შვილიც ჰყავდა და გერიც. თავისი კი ვერ გაიმეტა და გერი გამოატანა ხელმწიფის კაცებს. ქალმა უთხრა კაცებს:

— ხომ ვიცი მიმიყვანთ, ჩამაგდებთ ხაროში და გველის წიწილი შემქამსო, მაშ მივალ დედჩემის საფლავზე, ვიტირებ და მერე წამიყვანეთო.

— მიდი, იტირე და ჩვენ აქ მოგიცდითო. კაცებსაც ებრალებოდა უბედური ხალხი.

მივიდა ქალი დედის საფლავზე, დაემხო პირქვე და დაიწყო ტირილი. იტირა, იტირა, დაილა და ჩაძინა. სიზმარში თავის დედა ნახა. დედამ უთხრა:

— ნუ სტირი, შვილო, ბედნიერი ხარ. მაგ კაცებს სთხოვე ჯერ ხელმწიფესთან წაგიყვანონ და მერე ხაროსთან მიგიყვანონ. მოახსენე ხელმწიფეს; ძალიან მეშინიან გველისა, ერთი ფურის ტყავი მიბოძეთ, შევეხვევი და ისე ჩავალ, რომ ვერ დავინახო ჩემი შემკმელი თქო. ხელმწიფე მოგცემს ფურის

ტყავს. შეეხვიე და ისე ჩადი. გველი დაგიწყებს ლოკვას, ხვეწნას, გაიხადე ტყავიო. შენ უთხარი: „შენც გაიხადე ტყავი თქო“. ძალიან რომ შეწუხდება, ტყავს გაიძრობს. იმისთანა მშვენიერი ყმაწვილი კაცია, რომ მზესა ჰგავს, ის შენი ბედია.

ქალს გახარებული გამოედვიდა; უთხრა კაცებს, ჯერ ერთი ხელმწიფესთან მიმიყვანეთ, სიტყვა უნდა მოვახსენოვო. წაიყვანეს. ხელმწიფემ რომ ქალი დაინახა ძალიან მოეწონა და შეებრალა. ქალმა სთხოვა: ერთი ფურის ტყავი მიბოძეთ, მეშინია გველის წიწილის, არ მინდა უყურო, როგორ შემქამსო. ხელმწიფემ უბრძანა, მიეცათ ამ ქალისთვის ტყავი.

აიღო ქალმა ტყავი, წავიდა ხაროსკენ, შეეხვია შიგ და ჩავარდა. მოეხვია გველი, დაუწყო ლოკვა, უარა გარშემო, მაგრამ ვერსად იპოვნა შესაქმელი ხორცი. დაიწყო წივილი: გაიხადე ტყავიო.

— შენც გაიხადეო.

ასე დიდხანს იწვალეს. როცა შეწუხდა გველის წიწილი, გაიძრო ტყავი. გამოვიდა მზის მგზავსი ვაჟკაცი, მთელ ხაროს ანათებდა. ქალმაც გადიძრო ტყავი. ორნივე კარგები იყვნენ, მხიარულობდნენ, თამაშობდნენ. გველის წიწილმა ქალს სართისართხამ დაუძახა. გავიდა თითქმის სამი დღეც, რომ გველის წივილი აღარავის გაუგონია. თამაშობაში გველის წიწილმა ქალს ერთი კბილი ჩამოაგდებინა. მერე გათალა ჯოხი და ჩაუდგა. იყვნენ ნეტარების ცხოვრებაში.

ხელმწიფემ ბრძანა:—რაც ჩვენ ტყავიანი ქალი ჩაუგდეთ გველის ხმა აღარ გამიგონია, იქნება დაიხორცნენო.

წავიდა ერთი კაცი. ჩაიხედა, დაინახა ქალი და ვაჟი გადახვეულები ისხდნენ. გაუკვირდა კარის კაცს, გახარებული მივიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:—ქალი და ვაჟი ისხდნენ და მხიარულობდნენ, გველი კი აღარ არის, მზესავით ყმაწვილი არისო.

არ დაიჯერა ხელმწიფემ და ბრძანა: „თავი მოს-
ჭერთო“. ახლა მეორე კარის კაცი გაგზავნა მოხუცებულმა ვეზირმა მოახსენა ხელმწიფეს: —
ხელმწიფეო, ვგ არ იქნება, რომ ეგრე ხალხი ხოცო;
წაბრძანდი და შენ თითონ ნახეო.

დაუჯერა ხელმწიფემ. წავიდა, ნახა და საშინლათ
გაუკვირდა. უბრძანა, ამოიყვანეთო. ამოიყვანეს, წაი-
ყვანეს სასახლეში და გადაიხადეს დიდი ქორწილი.
სცხოვრობდნენ ბედნიერათ.

გავიდა რამოდენიმე ხანი. ქალის დედინაცვალმა
გაიგო, რომ იმისი გერი ხელმწიფის შვილს შეურ-
თავს. წამოვიდა სანახავათ. სართისართხამმა რომ დაი-
ნახა თავისი დედინაცვალი, ძალიან გაუხარდა და
კარგათაც მიიღო. დედინაცვალმა რამდენიმე დღის
შემდეგ უთხრა:

— შვილო, არ გინდა შენი დების ნახვა, წაგიყ-
ვან ჩვენსაო.

ქალი გაჰყვა დედინაცვალს.

ერთხელ დედინაცვალმა უთხრა:— მოდი, თავს
დაგბანო.

— კარგიო. გაიხადა ქალმა, გაიშალა თმა და
ივარცხნიდა. ამ დროს დედინაცვალმა აუშო კაპასი
ძაღლები და დაუტია ქალს. ქალი გარბის და ჰყვი-
რის. მირბის, მირბის, მისდევნ ძაღლები. ქალმა სა-
ვარცხელი გადმოისროლა. ასტყდა საშინელი ძეძვი.
ძაღლები შიგ გაებნენ. ქალი მიუახლოვდა ერთს
უკარო საყდარს. ურბენს ქალი საყდარს, თან ძაღლე-
ბიც უახლოვდებიან.

— უკარ-უბანო საყდარო, კარი მიყავო.

გაიღო კარი, შევარდა ქალი და კარი დაიკეტა.

ამ საყდარში ესვენა ერთი მკვდარი. თურმე მზის-
თვის ისარი ესროლა და მზეს დაეწყევლა: დღე კვდე-
ბოდა, ღამე ცოცხლდებოდა. საზრდო უფლისგან
ეძლეოდა.

ახლა დაუბრუნდეთ დედინაცვალს. თავის ქალს ჩააცვა გერის ტანისამოსი და წაიყვანა ხელმწიფესთან. შეხედა ხელმწიფემ, საშინლათ ეწყინა და უთხრა:

— ეს რა ჩემი ცოლია, ჩემი ცოლი ლამაზია, ეს ის არ არისო.

ეფიცებოდა დედინაცვალი, ეს არისო.

იყო ხელმწიფე დაღონებული, სრულებით არ უყვარდა, დადიოდა და თავის სართისართხამს ეძებდა.

სართისართხამი საყდარში რომ შევიდა, ნახა მშვენიერი ვაჟკაცი ესვენა, თავით და ფეხით სანთლები ენთო, სეფისკვერი და ზედაშე გვერდით ედგა. ქალსა კშიოდა. პური ქამა, ღვინო დალია, შანდლები შეუცვალა და საკურთხეველში დაიმალა.

დაღამდა. ვაჟს გამოეღვიძა. ნახა პურსაც აკლდა და ღვინოსაც, სანთლებიც შეცვლილი იყო. გაუკვირდა, მაგრამ რას მოიფიქრებდა! მეორე დღესაც ასე ნახა. მერე კი ვეღარ მოითმინა და დაიძახა:

— ვინა ხარ აქ, ქრისტიანი თუ ეშმაკიო?

ქალმა საკურთხევილიდან დაუძახა:

— ქრისტიანი ვარ, მაგრამ ტიტველი ვარ და ვერ გამოვალო.

— აჰა, ჩემი ჩოხა ჩაიცვი და გამოდიო, — გადაუგდო ჩოხა.

ჩაიცო ქალმა და გამოვიდა. ვაჟს ძალიან მოეწონა ქალი და ქალს — ვაჟი. გამოჰკითხა: ვაჟმა ქალს იმისი ამბავი. ქალმა უამბო თავისი თავგადასავალი. უჩვენა კბილი და უთხრა, გველის წიწილმა სართისართხამი დაძიძახაო. ვაჟმაც უამბო თავისი თავგადასავალი. უთხრა: დედ-მამა მყავს ძალიან მდიდრები, მე მზექაბუკი მქვიანო.

იყვნენ ამ ეკლესიაში. პარასკეობით იღებოდა კარი. ქალი დაორსულდა. დაწოლის დრო უახლოვდებოდა და არ იცოდა სად წასულიყო. მზექაბუკმა უთხრა: — წადი ჩვენსას, დაუძახე მოსამსახურეს და

შეაფიცე ჩემი თავი. რა წამს ჩემს სახელს გაიგებს დე-
და ჩემი, მაშინვე ბინას მოგცემსო. ბრილიანტი შე-
ქელი მისცა, ეს ძაღლებს დაანახვე, იცნობენ ჩემს ბე-
ჭედს და აღარ დაგყეფენო.

პარასკევ დღეს საყდრის კარი გაიღო. გამოვიდა
სართისართხამ ეკლესიიდან, წავიდა სადაც ვაჟმა ას-
წავლა გოგოს დაუძახა და უთხრა:

— მოახსენე შენ ქალბატონს, თუ მზეჭაბუკი უყ-
ვარს, ბინა მომცეს, დასაწოლი ვარ და სხვაგან ვერ
წავალო. გოგომ მოახსენა ქალბატონს.

— რაკი მზეჭაბუკს მაფიცებს, მიეცით ერთი ოთა-
ხი, პურიც შეუტანეთ, წყალიცო.

დაბინავდა ქალი და რამდენიმე ღამის მერე დაწ-
ვა. ეყოლა ვაჟი. პარასკევს გაიღო საყდრის კარი,
ღამე ადგა მზეჭაბუკი და წამოვიდა, სადაც ქალი ეგუ-
ლებოდა. გარეთ კედლიდან დაუძახა:

— სართისართხამ, როგორა ხარ?

— კარგათ, ვაჟი მყავსო.

გაუხარდა მზეჭაბუკს და წავიდა ეკლესიაში.

მეორე პარასკევს ისევ მოვიდა და დაუძახა:

— სართისართხამ, როგორ შენ, როგორ შენი ძეო?

— კარგათ მე, კარგათ შენი ძეო, მაგრამ კუტმა-
ტი დედასა და ფიჩქაჩი შენსა ძესაო.

— კანდაკრულ დედინემის სულიო, რით ვერ გაი-
გო, ვინცა ხარო? წავიდა ისევ უკან.

ეს ლაპარაკი გოგოს გაეგო და ქალბატონს უამ-
ბო. მეორე დღეს ქალს გამოუცვალეს ლოგინი, ბავ-
შიც სუფთათ შეახვიეს და საქმელი პურიც კარგი
მისცეს.

ღამე მოვიდა მზეჭაბუკი და დაუძახა:

— სართისართხამ, როგორ შენ, როგორ შენი
ძეო!

— კარგათ მე, კარგათ შენი ძე. ეხლა სუფთათ ვწე-
ვარ და საქმელიც კარგი მაქვსო.



კიდევ ისე თქვა მზექაბუკმა:

— კანდაკრული დედი ჩემის სული, რით ვერ გეტყვინებ
იგო, ვინცა ხარო?

იმ ღამეს გოგომ უგდო ყური და ქალბატონს ამბავი მიუტანა, ასე თქვა: „კანდაკრულ დედიჩემის სულიო“.

— იქნება ჩემი მზექაბუკი ცოცხალია.

მეორე დღით შევიდა თითონ ქალბატონი, გამოჰკითხა ქალს ყველაფერი. ქალმაც უაპბო. დააწვინეს კარგს ოთახში, ახალს ლოგინში, ბავშიც ახალ ძოწეულში შეუხვიეს და უთხრეს:

— როგორმე შინ შემოიყვანე, უთხარი წყალი მწყურია და შორს მიდგა-თქო. იქნებ შემოვიდეს და ჩვენც ვნახოთო.

დალამდა. მოვიდა მზექაბუკი და დაუძახა:

— სართისართხამ, როგორ შენ, როგორ შენი ძეო?

— კარგათ მე, კარგათ შენი ძეო, მაგრამ წყალი მწყურია, შორს მიდგა ლიტრა, მამწოდებელი არავინ მყავს, მოდი მომაწოდეო.

შევიდა მზექაბუკი, ნახა ცოლ-შვილი. იმათ აღერსში გაუთენდა და იქვე დაეძინა.

გათენდა. შემოვიდნენ დედ-მამა, ნახეს თავიანთი შვილი, რამდენიმე წლის დაკარგული. არ იცოდნენ სად იყო; არც მკვდარი იცოდნენ, არც ცოცხალი. ძალიან გაიხარეს. ვაჟს რიცა გამოეღვიძა ნახა, რომ დედა და მამა თავს ედგნენ. ბევრი ჰკოცნეს. ასე ცხოვრობდნენ ბედნიერათ. გაიარა რამდენიმე ხანმა. ეხლა ქალი მიეცათ. სართისართხამ იფიქრა:

— მე თუ მზექაბუკს არ უშველე, არ იქნებაო. უნდა წავიდე მზის დედასთანაო.

წავიდა ქალი. გაიარა კარგა გზა. ნახა, გუთანში უბიათ თორმეტი უღელი კამეჩი. გუთანს ყველაფერი რკინისა აქვს. ქალმა უთხრა:



- გამატარეთო.
- სად მიხვალ?
- მზის დედასთანაო.
- ჩვენც გაგვიგე რამეო.
- კარგო.

გაიარა დახვდა ცხვრის ფარა, ბარდებში გაბმული.

- გამატარეთო.
- სად მიხვალო?
- მზის დედასთანაო.
- ჩვენც გაგვიგე რამეო.
- კარგო. გაიარა. დახვდა ირემი, რქები ცას
 ჰქონდა მიბჯენილი და ბლაოდა.
- ამიყვანე მზის დედასთანა.
- მეც გამიგე რამე და ავიყვან.
- გაგიგებო.

აიყვანა ირემმა ქალი. მივიდა მზის დედასთან,
 შესჩივლა თავისი დარდი.

— კარგი, მე ყველაფერს ვეტყვი მზეს, შენ კი
 უნდა დაგმალო და ყური უგდეო.

სალამ-თი მოვიდა მზე დაღლილი და დაჯდა.
 დედამ დაუწყო კითხვა:

- შეილო, მიამბე ქვეყანაზე რა ხდებაო?
- რა ვიამბო? საცოდაობა არის. გუთანი შეეუბამთ,
 მთლათ რკინისაა. იმათ რომ ხისა გაუკეთონ ყველა
 იარაღი, გარდა ბარ-საკვეთისა, ადვილათ მოხნავენო.
- გესმოდეს თარო-კედელო, კარს უკან მაყუ-
 რებელო.

— კიდევ, დედი, ცხვარი არის გაბმული ბარდებ-
 ში. მეცხვარეებმა რომ გააკეთებინონ დუქარდი, ცხვარი
 გაკრიჭონ, მაშინ ადვილათ წავაო. კიდევ ერთი ირემი
 რქებით ცას მიბჯენია, იმან რომ ღონივრათ მიიწ-
 მოიწიოს რქა მოვარდება და წავაო;

— კიდევ ერთი მკვდარი მყავს. ლამე ცოცხლდე-
 ბა, დღე მკვდარი არის.



— იმას რაღა ეშველება?

— იმას რომ ჩემი პირის ნაბანი მოხვდეს, მძობა ჩემი ხეობაო. გაათავა მზემ ლაპარაკი და დაიძინა.

მეორე დღეს დედამ მზეს პირი დააბანინა. მზე რომ გაისტუმრა, ქალი გამოიყვანა, მისცა პირის ნაბანი და უთხრა, ხომ გესმოდა რაცა სთქვა მზემაო?

— მესმოდაო.

გამოიქტუმრა. მივიდა ქალი ირემთან და უთხრა:

— ჩამიყვანეო.

ჩამოიყვანა. უთხრა ქალმა:

— მიინძრ-მოინძრიე, რქა მოგვარდება და გაივლიო.

მიიწ-მოიწია ირემმა, მოვარდა რქა და წავიდა გახარებული.

მივიდა ქალი მეცხვარეებთან, იმათაც ასწავლა: — გააკეთეთ ღუქარდი, გაკრიკეთ ცხვარი და თავისუფლათ გაივლისო.

წამოვიდა მეგუთნეებთან და იმათაც ასწავლა, რაც მზემა სთქვა. მოვიდა შინ. მზექაბუჯს პირი დააბანინა და მოარჩინა. ცხოვრობდნენ ბედნიერათ.

ერთხელ გველის წიწილი სანადიროთ იყო. შეხვდა მზექაბუჯი და შინ წამოიყვანა. დაინახა სართი-სართხმა თუ არა, იცნო გველის წიწილი. გველის წიწილმაც იცნო, მაგრამ კი ვერაფერს ამბობდა. ბოლოს გველის წიწილმა უთხრა მზექაბუჯს:

— ეს ქალი ჩემი ცოლიაო.

— რა ვქნა, ჩემი ცოლიც არის, უკვე ორი შვილიცა მყავსო.

— შენ შვილებიც გყავს და მე კი ასე უბედურათ დავეზებებიო.

შეებრალა მზექაბუჯს და უთხრა:

— შენზედაც დიდი შრომა აქვს და ჩემზედაც. მაშ ავაფსოთ ჭიქები ღვინით, როცა შემოვა სართი-სართხამი, უთხრათ ღვინო დაგვილიოს. რომლის ჭიქაც აიღოს, იმას დარჩესო.



დასდგეს ჭიქები. სთხოვეს: — მიირთვიო.

აილო ჭიქა და დაილოცა. თურმე გველის ღიმილი დაიწყო.

— შენია, ძმაო, შენია, უთხრა მზეჭაბუკმა. გაუხარდა ქალსაც და გველის წიწილსაც უთხრა ქალმა მზეჭაბუკს:

— ჩემი ორი შვილი შენ და მე კი ამასთან წავალ. ორივეზე შრომა მაქვს, მაგრამ უფრო ამას ვეკუთვნიო.

გზა დაულოცეს მზეჭაბუკმა და მისმა დედ-მამამ და გაისტუმრეს ქალი და გველის წიწილი. მზეჭაბუკიც მაყრათ გაჰყვა. მივიდნენ გველის წიწილის სასახლეში. გადაიხადეს მეორე ქორწილი. დედინაცვლის ქალი რაშს გამოაბეს კუღზე და ისე დაჩქლითეს.

ცხოვრობდნენ კეთილათ. მზეჭაბუკიც დაიარებოდა მათთან.

სამი ვაშლი ჩამოვარდა. ერთი ღმერთს, ერთი მე, ერთი თქვენ.

ჩაწერილი ქეთო მირიანაშვილის მიერ.





ა რ ი დ ე ღ ა .

რძოლათ მოუკვდათ შვილთ მამა,
ცრემლებსა ღვრიან, ტირიან;
გული რომ მწარეთ უკვნესით
უაზროთ არას ყვირიან.

დედა-კი, მათი-მშობელი,
ბრვე სულისა და გულისა
გასაღდა, გახდა მთლად მონა
შვილების სიყვარულისა.

არაფრათ აგდებს, ეხვევა
ობლებს სათუთის გრძნობითა,
ჰკოცნის და ეალერსება
ფარულის ჭირთა თმობითა.

უფერებს ათასნაირად,
არ იჩენს დაქვრივებასა,
შვილების გურგურს უნდება
და ამითი გრძნობს შვებასა.

დღე და ღამ შრომას ანდომებს,
არ იხსნის კაბის ღილებსა,
მამულისათვის ამზადებს



მამის წილ გმირთა გმირებსა.

აქვე ძირს ვხედავ სხვა დედას
 ქვრივს, ცოტაოდნათ ხნიერსა,
 გასძახის ბაიათებსა,
 შვილს კი ამყოფებს შშიერსა.

ბალიში თეთრის ყურთუკით
 მუდამ უღვია თავითთა,
 პირმშო კი გარედ უაღია
 სავსე ღონით და ზავითთა.

რა უთხრა ასეთ დედასა,
 რა უთხრა ასეთ მშობელსა,
 თავის გულ-ღვიძლი ბიჭიკოს
 დღეს თითქმის უარყოფელსა.

ქალო, თუ შვილი არ გწამდა.

რალათ აჩენდი ქვეყნათა?!


იქნება მისი გაჩენა

მიგაჩნდა მხოლოდ კვეხნათა!

მოტყუებულხარ იცოდე,
 და დღესაც მწარედ სტყუვდები:
 დაუხმე დედით გრძნობასა
 სიმღერით ნულარ ბრუვდები.

თორემ დაგწყევლის ძე შენი
 როდესაც დავაჟკაცდება,
 დანანება და წუხილი
 აღარას გამოგადგება.

შიო მღვიმელი.





გ ა მ ც ე მ ი.



სამბავი მოხდა იტალიაში, 1849 წელს. სწორეთ ესწლები იყო იტალიისთვის უბედური — რომის რესპუბლიკა დაემხო, ფრანგების ფარ-ხმლით განადგურებული. გარიბალდი დაკოდილი ლომივით უკან იხედა, ავსტრიელებისაგან დევნილი ზღვისკენ მიეშურებოდა. გზაზე არა ერთ თანამებრძოლს გმირს ჰკარგავდა. ერთხელ, ბნელ ღამეში, ტყესთან ახლოს, მინდორ-ღელე შეავათ იყო მოცული. მალლობ მთიდან ჩამოსულმა

მოხუც მწყემსმა რომულდმა უთხრა ბიაროს:

— თუ ამისთანა ბნელ ღამეში ჩამოვა ამ მინდორ ღელეში რომაელი ლორენცო ჩიჩეროვაკა და დაგირაკუნებს კარებს, ნუ გაისტუმრებ, ღამე გაათევირე. ათი დღეა პაპის მხვერავები ცდილობენ მის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ვერ ახერხებენ.

— მისი გამცემი რომ გამოჩნდეს? ჰკითხა ბიარომ უკმეხი ღიმილით, — პაპის წარმომადგენელმა და ავსტრიის მთავარ მართებელმა საჩუქრათ დიდი ჯილდო დაუნიშნეს, ვინც იმას გასცემს.

— გამცემის ოჯახს ჩვენში ჯერ ფეხი არ მოუკიდნია. უპასუხა რომულდმა წარბების შეკმუხვნით.

— მე მაინც არ დაგიმალავთ, რომ აქ გამცემი კაცი მე გულება...

— ვინ არის?

— მაშინ დაგისახლებთ, როდესაც ამ საერთო უბედურების დროს მოინდოვებს ისარგებლოს...

— მათრთხილდი, თუ მას დაჰფარავ, მუქარით შეჰკვირა რომულდმა...

ბიარომ ფიცის ნიშნათ, ხმა ამოუღებლივ, ხელი მალა ასწია.

მოხუცმა გადახედა ჩაბნელებულ აპენინის მთის წვერებს, მერე მინდორ-ველებს და ნელის ნაბაჯით გასწია მახლობელ ტყისკენ, სადაც ჯოგს აძოვებდა.

ბიარო გაემართა თავის სახლისკენ. სახეზე ისევ ისე უკ-



მეხი ღიმილი უკრთოდა. მთვარე ამოდოდა. პიარომ, ცველი მინდორზე დაინახა, რომ ვილაც გუთნის დედა მძებნის. შაოს აღვია. ხარება, რომლებიც უღელ ქვეშ ქვშინავდენ, გვერდით მოსდევდა ფერპკრთალი, გამხდარი ყმაწვილი დასახრით ერეკებოდა დაღალულ-დაქანცულ საქონელს. უკან მოსდევდა გუთნის დედა, რომელიც გუთანს ზეროდან აწევებოდა, რადგან გუთანი ქვიან და უხვირო მიწას ძნელათ სჭრიდა.

ბიარომ მისი სახე ერთბაშათ ვერ გაარჩია, მაგრამ როდესაც გუთნის დედა წელში გასწორდა, რომ მოხუღ მიწისთვის გადაეხედა, ბიარომ იცნო თავისი მეზობელი სორელლი.

— რა უვარგისი მიწაა! თქვა ბიარომ, როცა მიუახლოვდა.

ოთხი ნაქერი მიწა მზის პირას მგონი უნდა ეყოს ათი სულის გამოსაკვებათ, უბასუხა სორელლმა ცოტა დაფიქრების შემდეგ, მაგრამ ის კი არა, ერთსაც არა ჰყოვნის.

— ვენახი ხომ კაი შექმოსავალს იძლევა, არც ვენახი გშევლით?

— ეგ მართალია. მაგრამ ჩვენ მაინც სიღარიბეს თავს ვერ ვაღწევთ!

— თქვენ მთვარიან ღამეში მუშაობთ? ჰკითხა ბიარომ ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— დიახ, უბასუხა სორელლიმ, — ღამე მუშაობა ისე ძნელი არ არი, მთვარე ანათებს, მაგრამ არა სწვამს, როგორც მზე.

— ღამლაობი თქვენი ცოლშვილი სახლში მარტო რჩება?

— მარტო, უბედურები! მწარე ღიმილით უთხრა სორელლიმ.

— თქვენ სახლს რომ გამოქცეული ვინმე მოადგეს თავის შესაფარებლათ მიიღებენ თუ არა თქვენები, როგორც ჩვენ იტალიელებს ეკადრებათ?

— მესმის, თქვენ ღაპარაკობთ გარიბალდიელებზე, ახლა რომ ახალგაზრდა ჩიჩეროვაკიას დაეძებენ?

— სწორეთ იმაზე ვლაპარაკობ.

— გუშინ საღამოზე იმან დააოაკუნა ჩემი სახლის კარები და მე გავუღე. საცოდავი თურმე ათი დღე დაწანწალებდა. ადამიანის სახე აღარ ედო. ჩემ შვილებს შეეცოდათ და თავიანთი ლოგინი დაუშმეს.

— კიდევ თქვენთან არის?

— ჩვენთან არის. იყოს რამდენი ხანიც უნდოდეს.

— მერე არ გეშინიანთ!

— იცი რა გითხრათ, ბიარო, როდესაც კაცი სიცოცხლის
 ლეში კარგს არას მოელის, მას არ ემინიან არც სიკვდილს
 და არც განადგურებისა. პური კი ამ დროს სამყოფი მაქვს,
 რომ ერთ მეტ მჭამელს გაუძღვე.

ჩაჩუძდენ. მალეობ მთის ფერდობებიდან, თითქოს შორე-
 ულ ტყის შუა გულიდან გამოგორდა სისხლივით წითელი
 მთვარე და თავისი ცხოველი ფერი მოღუშულ კლდეებს მოპ-
 ფინა. მეზობლებმა ერთმანერთს ხელი ჩამოართვეს და გან-
 შორდნენ. ბიარო თავის სახლისაკენ წავიდა, სორელლიმ კი
 ისევ ისე ვუთანს დაუწყუო კირკიტი.

მეორე დღეს ლორენცო ჩიჩეროვაკიო იპოვეს მთებში,
 სადაც თავი შეეფარებინა. ავსტრიელებმა წაიყვანეს მახლო-
 ბელ ქალაქში და დახვრიტეს.

ამის გამო მთებში დიდი აურზაური ატყდა.

ყველამ იცოდა, რომ ყმაწვილი გადურჩებოდა დაქვრას
 და დახვრეტას, რომ მცხოვრებთა შორის არ გამოჩენილიყო
 საზიზღარი გამცემი.

მახლობელ სოფლებიდან ყველა მოხუცებულებმა თავი
 მოიყარეს საქმის გამოსაძიებლათ.

ამათთან ბიაროც მივიდა, გაიხმო მოხუცებული რომუ-
 ლდი და უთხრა:

— ხომ გითხარით, რომ ჩვენგანი ვინმე გარიბალდი-
 ელის გამცემი იქნება!

— გაფიცებ მაში შენის პატროსნებას, მკაცრათ დაიწყუო
 მწყემსმა, — მითხარი მისი სახელი, თორემ შენც მიგიჩნევთ,
 როგორც გამცემის თანაზიარს.

— მე არავის არ მინდა ვაწუო.

— ვინც ფულის გულისთვის მტერს ხელში ჩაუგდებს
 თავის ქვეყნისთვის მებრძოლს, ის მებრძოლების ღირსი არ
 არის.

— მართალია, წაიბუტბუტა ბიარომ, მე მაგაზე არ მი-
 ფიქრნია.

და თავი დახარა.

— თქვი, რას გაჩუმებულხარ! დაქინებით ჰკითხავდა მო-
 ხუცო.

— იმ საღამოს, როდესაც თქვენ შეგხვდით ტყის მახ-
 ლობლათ, მინდორზე, შევიტყე რომ ჩიჩეროვაკიო ჩვენ მთებ-
 ში იმალება, ჩემი მეზობლის სახლში. სორელლი გამომიტ-
 ყდა, რომ მან თავი შეაფარა მასთან. ღამე, როდესაც მიწის



მოსახნავათ გამოკვდი, დავინახე სორელი... ის ქალაქის-
კენ გაზოდა...

— შეგიძლიან რომ შეგვეფიცო, რაცა სთქვი?

ბიარომ ხელი მალლა ასწია და თქვა:

— გეფიცებით იესო ქრისტეს, ჯვარცმას..

მოხუცებულებმა შეიტყეს თუ არა ეს საშინელი ამბავი, გაქცემი წყევლა— კრულვას მისცეს და იმითი დასაჯეს, რომ დღეს იქათ იმისთვის არავის ხმა არ უნდა გაეცა.

მას მუნჯებთა შორის უნდა ეცხოვრა. სასჯელი დაიწყო. თავდაპირველათ სორელიმ ვერა გაიგო რა, ის უბრალო გლეხი იყო, ეკლიანი გზით მიმავალი, უკან აღარ იცქირებოდა.

მაგრამ მას მოსჩხაოდა ათი მკამელი, მათთვის უნდა საზრდო მიეწოდებინა. პირველათ ხმის ამოუღებლობა მას არ აკვირვებდა, თვითონ სორელიც არ იყო ყბედი. მაგრამ, როდესაც ამხანაგები ერიდებოდნენ, ჩვეულებრივ ქმურათ არ უნდოდათ ხელის გაშვდენა, მაშინ სულ დაიფანტა და იკითხა.

— რაში ვარ დამნაშავე?

პასუხი—სრული სიჩუმე იყო.

ყველასაგან მაჯოვებული ის ხშირათ ბრუნდებოდა თავის დაქმულ ოჯახში ულუკმა-პურით.

ერთხელ სორელი თავის კარებ წინ იჯდა. დაინახა ბიარო. მეზობელს ორჯელ გასჩახა. ის კი თითქოს არ ხედავდა და არ ესმოდა. არ შედგა, განაგრძო გზა.

მაშინ სორელიმ ველარ მოითმინა და გამოეკიდა.

— დაყრუებულხართ თუ რა არი? დაუყვირა მან და სტაცა ხელი.

— რა გინდა ჩემგან, ჰკითხა ბიარომ.

— ის მინდა, რომ უნდა შევიტყო, რატომ ყველა მერიდებით, თითქოს ჭირიანი ვაყო; რატომ არც ერთი ამბავი არ მეკარება, არ მოდის ჩემთან, ჩემს ოჯახში?

— რა ვიცი!

— იქნება თაკილობთ, რომ ღარიბი ვარ. ღმერთმა ხომ იცის არც ერთი პურის მარცვალი არავისთვის არ მომიპარავს. თუმცა ორი ვაჭიშვილი სიმშლით მომიკვდა.

— აღამიანს ბედი არა ჰქონია! მიუგო გულ-გრილათ ბიარომ.

— მითხარ, მამა ნუ წაგიწყდებდა, ვინ დამწამა ცილი?

სორელი ისე ჩაციებით შესცქეროდა, რომ ბიარომ



თავი მდაბლა დახარა, მაგრამ მაინც შეუპოვრათ უპასუხა: **მარტოვანი**
 — არ ვიცი.

ბოლოს სორელლიმ თავის მოძმეების მიერ შეურაცყოფას ველარ გაუძლო და მიმართა მათ მხურვალე თხოვნით, მოესმინათ მისთვის, სანამ ის თავისი ოჯახით სულ არ ამოწყვეტილა.

ამის გამო სოფლის მოთავე-მოხუცებულებმა გადასწყვიტეს ამ უბედურისთვის თავის გასამართლებლათ საშუალება მიეცათ.

ყრილობა დანიშნული იყო განმარტოვებულ ქალაში. მცხოვრებლები მალალ მთიდან, ვიწრო ბილიკით დაეშვენ.

როდესაც სორელლი ჯაგნარიდან გამოჩნდა, ყველამ იმისკენ მიიხედა.

ის ფერ-მიხდილი, თვალეზ ჩაბნელებული მორბოდა. თავზე შემოხვეული ჰქონდა რაღაც ძონძის ნაჭერი, რომელსაც სასტიკი ქარი აფრიალებდა.

მოხუცებულებმა ერთხანეთს გადახედეს. ახალგაზდები ჩაჩუმდნ.

ბრალდებული სწრაფათ მიუახლოვდა ყრილობას და მსაჯულების წინ რამდენიმე ნაბიჯზე შედგა.

მას კბილი-კბილს აცემინებდა, ტუჩები უთრთოდა. ისეთი გამხდარი და ფერ-მიხდილი იყო, რომ მოჩვენება გეგონებოდათ.

— დამოგვიანდა, წამოიძახა მან, კიდევ მომიკვდა ბავში. ეს მესამე მიკვდება, რაც თქვენ დამსაჯეთ. არ ვიცი კი რა დანაშაულობა მიშიძღვის, რომ თქვენ აუტანელი გახადეთ ჩემი სიცოცხლე. უნდა შევიტყო, რა დავაშავე.

მისი ხმა შემოდგომის მკაცრი ქარის ზუილივით მოისმოდა და მთა — ლეღეები გრილით იმეორებდნ.

მაშინ რომულდმა უთხრა:

— შენ გამცემი ხარ!

სორელლოს თვალეზი ეღვასავით აუბრიალდა.

— ეგ ტყუილია! წამოიძახა მან.

— ფულის გულისთვის გამცემი გახდი, რისხვით განაგრძო მოხუცმა, — უღალატე ხალხს, შენ შეილებს დასაძრახ მემკვიდრეობას უტოვებ. მოგვშორდი. მხოლოდ შენი შეილების გულისთვის შეგიბრალეთ, რომ ცოცხალი ხარ.

განკიცხული მწუხარებისგან თითქოს გაქვავდა. მსაჯულის დაუნდობელი ხმა კი მშვიდათ ჩამოსთვლიდა ყველა მის და-



ნაშაულებას, რომლის მიზეზით ის დასჯილია განმარტებით. უტოლ-ამხანაგოთ ყოფნით. სორელილი იდგა ამ უმთავრო მსაჯულთა წინ, როგორც მგზავრი, როდესაც გრიგალი მოასწრობს და გადასარჩენათ ამაოდ ეძებს საშვალელებს. მან პირი არ მოიბრუნა, თვალეები ძირს არ დაუშვა, მაგრამ მის ფერ-მიხდილ სახეზე თითქოს შესქელდა ბურუსიანი დღის მოკმუნხილი ჩრდილი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

სორელს უნდოდა ელაპარაკა, მაგრამ მის გულიდან შოისმა მხოლოთ ხრინწიანი ოხვრა.

მოხუცი მსაჯულები ჩაფიქრებულნი მიწას ჩასცქეროდნენ. ბევრს მათგანს ეჭვი ეპარებოდა.

მერე ბრალდებული ერთბაშათ წელში გასწორდა და გამაგებულ აღფრთოვანებით წამოიძახა:

— მე გამცემი არა ვარ, ჩემ დღეში ჯაშუში არა ვყოფილვარ. მე თავი შევაფარებინე გარიბალდიელს. ვფიცავ ჩემს-ცოცხალს შვილებს, ჩემი მკვდრების სულს, ჩემი ოჯახის პატიოსნებას, რომ მე გამცემი არა ვარ.

სორელის სასოწარკვეთილ გოდებაში იმდენი თავმოყვარეობა, იმდენი აღელვება და სიმართლე გამოიხატებოდა, რომ მის უდანაშაულობაში ეჭვი აღარავის არა ჰქონდა.

ზოგჯერ არის ხოლმე ისეთი ქეშმარიტება, რომელიც ელვასავით შეიპყრობს ადამიანს და გრიგალივით ჩაითრევს. მსაჯულნი შეკრთნენ. დადგა საპაჩისებური სიჩუმე და არა ერთი ჭალარა თავი უსამართლობის გამო დარცხვენილი ძირს დაეშვა.

ამ დროს ერთი დედაკაცთაგანი, რომელიც მოშორებით იდგა და ყურს უგდებდა, მიუახლოვდა რომულდს და უთხრა:

— მინდა გითხრა რამე!

მოხუცი გაჰყვა დედაკაცს და როდესაც დაბრუნდა სახეზე მკვდრის ფერი ედო. მერე მიუბრუნდა სორელს და უთხრა:

— ხვალ მოდი ზეთის ხილის ჭალაში და იქ, როგორც ღირსი ხარ, დაგიხედვით.

სორელიმ ამაყი თავი ძირს დახარა და უხმოთ მოშორდა კრებას.

ზეთის ხილის ჭალაში თავი მოიყარა მთლათ ყველა აქაური მთა-გორაკების და ტყე-ველის მცხოვრებლებმა.

ეს საშინელი აშბავი მოხდა შემოდგომის ბინდ-ბუნდში,
დაღამების დროს.

ექვსი ვაჟკაცი, მალლობ-მთის რჩეულნი მსროლელნი,
ხმა გაკმენდილნი მოშორებით იდგენ..

თავმოყრილი ხალხი ცუდ გუნებაზე იყო, გაფაციცებით
შესცქეროდა მახლობელ მიდამოებს.

უეცრათ გაისმა ჩურჩული:

— აი, ისიც მოდის! ისიც!

— ხედავთ, მოდის! მარჯვნივ ბილიკს შეუხვია! ამობდა
ქაწვილ-კაცობა.

— ვხედავთ! როგორ არა ვხედავთ? უბასუხეს მოხუცე-
ბულეზმა.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც გრიგალის მომას-
წაფებელი. მხოლოდ საიდანღაც, მალლობიდან ცხვრის ფარის
ზანზალაკების ხმაურობა მოისმოდა.

ის კაცი, რომელსაც ესენი თვალს ადევნებდენ, მოუხ-
ლოვდა ამათ, მერე საჩქაროდ გაიარა, თან ილიმებოდა.

მაგრამ როგორც კი შეიარაღებულ მთიულებს გასცილდა,
არა ერთმა ასმა ხმამ მიაძახა:—გამცემო! გამცემო!

ის რეტრიანივით მობრუნდა, კლილობდა გაელიმა.

იმავე წამს ექვსმა თოფმა იგრიალა და ბიარო უსულოდ
დაეცა.

მალალ მთების მთიულები არას დროს არ ააცდენენ
ტყვიას.


როდესაც მკვდარს თვალები მიუბნელდა, რამოდენიმე
ქაწვილი მიუახლოვდა, რომ აეწიათ.

მაგრამ მსაჯულებმა სწრაფად დაუყვირეს: მკვდარს თავი
დაანებეთ. მიწა არ მიიღებს გამცემის გვამს.

კარგა დრო იყო გასული ხალხი რომ დაიშალა და ზე-
თის ხილის ქალა გამცემის გვამით ცივ სიბნელეში ჩაინთქა.

ან. წკრეთლისა.

(თარგმანი).





დანგრეული ოჯახი

(დასასრული).



პატარა ლელი ხომ „ჩილინგრი-
ანთ“ უხეშობის შემდეგ სრული
ბედნიერია იმ კეთილი ზედა-
მხედველი ხელში, რომელიც
პაწაწინა ლტოლვილთ ჰპატრო-
ნობს, ის ნამტირალევი და
გულგატეხილი, სწორეთ შაშინ
მიიყვანეს თავშესაფარში, რო-
დესაც პატარა ქალ-ვაჟნი ბაღში
ხტუნაობდენ, თამაშობდენ, ბუ-

რთაობდენ, მღეროდენ, იცინოდენ და ისიც აიყოლიეს. ჯერ
შომყვანი კარებში არ გამოსულიყო, რომ ლელის წკრიალა
ხმა გაისმა.

მაგრამ ჭირში გამაგრებულმა დედაკაცის ბუნებამ ვეღარ აი-
ტანა მოულოდნელი იმედებით აღსავსე სიხარული და წაიქცა.

ელიკო დიდხანს იყო ავით, იმას შავი სახადი აღმოაჩნდა
და ბავშთა საავადმყოფოდან საჩქაროდ „არამიანცის“ სა-
ავადმყოფოში გადიყვანეს. მთელი ორი კვირა იმის სიკო-
ცხლე ძაფზე ეკიდა. ექიმი მარიაში აქაც მფარველ ანგელო-
ზათ მოველინა, ის ყოველ დღე დაჰხედავდა ხოლმე ავით-
მყოფს, ყურს უგდებდა მოვლა-პატრონობას, უზიდავდა სა-
ყუათო სასმელ-საჭმელს და მძიმე სენი მოახდევინა.

*
*
*

მაისის უკანასკნელი დღეები იყო. ახლათ ლოგინიდან
ამდგარი ელიკო, გაფითრებული და დასუსტებული საავად-
მყოფოს ფანჯარასთან იჯდა და ჩაფიქრებული გადაჰყურებდა
ეზოში მოწყობილ, ათა ფერად აყვავებულ ყვავილნარს.

ვინ იცნობდა ამ ფერმკრთალ, თმებგაკრეჭილ და საავად-
მყოფოს უშნო და ტომარასავით განიერ ხალათში გახვეულ
არსებაში უწინდელ კეკლუცს და ეშხით სავსე დედაკაცს.

თუმცა ექიმი მარიაში შვილებისას ბევრ სანუგეშო ამ-
ბავს უზიდავდა, მაგრამ იმის გული მაინც იღვენთებოდა და

თითოდა, რომ დაკარგული ქმარშვილისა აქამდინ არაფერი იცოდა, რომ ოჯახი სამუდამოთ დაენგრა და თავშესაფარიც დაკარგა. — ღმერთმა შემიბრალა, სიკვდილს გადამარჩინა, მაგრამ რა გზას უნდა დავადგე აქედან გასვლისას? როგორ უნდა მოვაწყუო ჩემი ცხოვრება, შვილებს როგორ უნდა ზღაპრონო? მწარის ამოკვნესით სთქვა იმან და თვალგზედ მომდგარი ცრემლები ხალათის სახელოთ მოიწმინდა. — თქვენ კიდევ სტირით, ბატ. ელიკო, საყვედურით მიმართა ამ დროს ოთახში შემოსულმა ექიმმა მარიამმა — დღეს კი ბევრათ უკეთესად გამოიყურებით და იმედი მაქვს შესძლებთ ინახულოთ ერთი თქვენი კარგი მეგობარი.

— კარგი მეგობარი? გაკვირვებით შესძახა ელიკამ და ზეზე წამოხტა. — მე დაკარგულს და ბოგანოთ ქცეულს, მეგობარი განა კიდევ გემაჩნია? ხომ არ მცდით, საყვარელო მარიამ? მე მეტის ატანა აღარც კი შემიძლიან და აფთქიკლებულ გულზედ ხელები წაივლო.

— დამშვიდდით, დამშვიდდით, ბატონო! დაკარგული რათ იქნებით, ჩვენ დროში, როდესაც რკინის გზა და ვაზეთი სასწრაფოთ აერთებს ქვეყნის უშორეს კუთხეებს, ბათუმი და ჩვენი ქალაქი განა აგრე დაშორებულია ერთმანეთზედ? განა ორივე ქალაქი ჩვენი სამშობლო კუთხე არ არის?

— ბათუმიდან არის მოსული! ოჰ! ჩქარა, ჩქარა მიჩვენეთ თქვენი ღვთის გულისათვის! მთლათ აცახცახებული მივარდა ელიკო ექიმს. — იმან იქნება იცის ჩემი დაკარგულების ამბავი?

— დამშვიდდით, დამშვიდდით! შეიკრიფეთ მთელი თქვენი ძალღონე. სულგძელობას ნუ ჰკარგავთ! და ექიმმა კარები გააღო. კარებში გამოჩნდა ალექსი გიოშვილი და კარებშივე შესდგა გაკვირვებით:

— ელიკო, შენ? ღმერთო ჩემო, ნუ თუ შესაძლებელია ორ-სამ თვეში ადამიანში ამ გვარი ცვლილება!

— შენ! შენ კი ალექსი ხარ? ჩემი ალექსი — ზორბა და ბრგე, ბედნიერი მამა, ბედნიერი ოჯ. ხის პატრონი?!

— რა დროს ეგვანია! ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ პირს ვადუროხით და ორთავე ცოცხლები შეხვდით ერთმანეთს! კვლავ სათნოებით სავსე ღიმილით უთხრა მარიამმა და ოთახიდან გავიდა.

* * *

ასმათმა სამი თვის დაკეტილი და მტვრით და აბლაბუ-



დით სავსე ოთახები დაგავ-დაწმინდა, ყოველისფერი დააკაშ-
კაშა, ყველაფერი თავის ალაგას დასდო და გამართა. სუბანაში
სამოვარი დასდგა, სასადილო ოთახი გააჩაღა, თეთრი სპე-
ტაკი სუფრა გადააფარა მაგიდას, ბატონის დანაბარევი ყვ-
ვილებით შეამკო ოთახი, ხელში აიყვანა მორთულ-მოკაზმუ-
ლი გოგი და აღექვის ერთ თანამოსამსახურესთან ერთად,
ვაგზალზედ წავიდა.

— გოგიჯან! გესმის შენ რა ბედნიერება გვეწია? გეს-
მის შენ, შენი გული გრძნობს, რომ დედას კვლავ გულში
ჩეეკვრები. აღერსით და სიხარულით აღფრთოვანებული ეკი-
თხებოდა და მოუთმენლათ შედიოდ-გადიოდა ვაგზლის
დარბაზიდან ასმათი, ერთგული გამღელი, თავის ანაბარით—
გოგით ხელში.

— ნატო, ლელი, მიხო მოვლენ! მოვლენ! კვლავ ყვე-
ლანი ერთად ვიქნებით, ერთად! შეუწყვეტლივ იმეორებდა
ასმათი.

გოგი კი თითქმის გადაჩვეული დედის აღერსს, გულ-
უბრყვილოთ იტკირებოდა აქეთ იქით და ერთობოდა მხოლოთ
პატარა ქედანას წმუკუნზედ, რომელიც მოკუნტული იჯდა
ერთ ალაგას და დიდის მოთმინებით ელოდა მატარებლის
მოსვლას. ის თითქოს გრძნობდა, რომ ოჯახს უბრუნდებოდა
თავის დაკარგული წევრნი და უდიდესის სიხარულის მო-
ლოდინში გულს იმაგრებდა. აღფლავებს არ იჩენდა.

და აი მოისმა მატარებლის სტეცნა, გრიალი შხუილი და
ასმათი ატაცებულივით გავარდა იპის დასახვედრათ. პატარა
ქედანაც დაიძრა თავის ალაგიდან და უკან დაედევნა. ამას
კარგათ ესმოდა, რომ რაღაც სასიხარულო უნდა მომხდარი-
ყო, მაგრამ იმისი ძალღუერი ინსტიკტი ისე შორს არ მიდი-
ოდა, რომ მოლოდინის შესაფერი აღტაცება გამოეჩინა და
ჯერ დროს უცდიდა, ელოდა თუ რა იქნებოდა. მატარებ-
ელიც მოვიდა. ვაგონიდან მაგრათ ხელმოხვეული, გაფითრე-
ბული და მთლად აკანკალებული ჩამოიყვანა აღექსიმ ელიკო,
რომელიც წაბარბაცდა და კინალამ პირქვე დაეცა, როდესაც
შორიდან გოგით ხელში ასმათი დაინახა და იმისი აღტაცე-
ბული კიჟინი გაიგონა.

— შეილო, შეილო გოგი! შეჰკივლა იმან და ისტერი-
ულად აქვითინდა. ნატო, მიხო, სულ გარს შემოერტყნენ
დედას და ხამებივით გამოიყურებოდნენ. ჯერ კარგათ არ
შესჩვეოდნენ თავიანთ აღდგენილ ბედნიერებას, თავიანთ მშობ-



ლებთან ყოფნას, თავიანთ კერაზედ დაბრუნების იმედს. ქედანა კი ისე მძლავრათ აყვდნა, ისე ამოძრავდა და გადარეული სიხარული გამოაჩინა, რომ ყველა გააკვირვა და ყველას ყურადღება მიიპყრო, ყველას გადააჭარბა.

— ჩემო ცუგრა, ჩემო შავთვალა, ლამაზო! უაღერსებდა ნატო.— შენ კიდევ ჩვენი ხარ? არავინ მოგკლა, არავის წაპყევ?

— ქედანა! ქედანა! დედა, შეხედე! ხმა გაეცი! კაბას სწევდა ლელი ელიკოს, გულწასულს და გაშტერებულს მეტის მეტი სიხარულით და ბედნიერებით, რომ გოგი კვლავ გულთან ეკრა და იმისი მშვენიერი ლიკლიკი ესმოდა.

აუარებელი ხალხი მიდიოდ-მოდოდა, გარბოდა, მიეჩქარებოდა რკინის გზის ბაქანზედ, მაგრამ ჩვენ ნაცნობ მგზაურებს, არავინ არ ეპრიანებოდათ, არავის უგდებდნენ ყურს და მთლად თავიანთ ახლად ნაპოვნს ბედნიერებას ეძლეოდნენ.

როდის, როდის დაიღალნენ ბევრი აღერსით, სიხარულის ტირილით და სახლში წასვლა გადასწყვიტეს.

და უზომო იყო ამათი კმაყოფილება, აღსავეს ამათი სიხარული, როდესაც დაბინავდნენ და თავთავის ლოგინში განისვენეს. სამი თვის წანწალის და უბედურების შემდეგ კვლავ იგრძნეს თავი თავიანთ ქერქვეშ, ყველამ ერთად, ერთის მძლავრის სიყვარულით და უბედურების შემდეგ ერთიასათ უფრო გაძვირფასებული ბედნიერებით.

ე. გაბაშვილისა.





„ტ ო ზ ს ი“

თ ო მ ა ს ნ ა ვ ო მ ნ ი.



ხალი შეეზოვე თომა დღეს დიდ საქ-
მეშია. სახლის პატრონმა მას და-
უთმო დაბლა სართულში ორი ოთა-
ხი. იქ კარგა ხანია არაეინ ცხოვ-
რობს, შიგ რაღაც ხარა-ხურა ჰყრია
და გასუფთავება სჭირდება. ამიტომ
თომა ეზიდება ოთახიდან რაღაც
ძველ ნივთებს, ფეხმომტვრეულ სკა-
მებს დაჭყლეტილ თუნუქის კოლო-
ფებს. მარო იქვე დგას. თუმცა
დღემ აღუკრძალა იქ ყოფნა, მაგ-
რამ მარომ ვერ დასძლია ცნობის
მოყვარეობას და ცოტა მაცადინო-

ბის შემდეგ გამოიქცა თომასკენ. აგერ გამოვიდა თომა. ხელში
თიხის ქოთანს უჭირავს. — „ბარიშნა, აქ მობრძანდი, რა გაჩვენ-

ნო! მარო მიუახლოვდა. ქოთნის ძირში ბუმბულის გორაკს
 ხდევს, შიგ რაღაც ინძრევა. თომამ მისწი მოსწია
 და ამოიყვანა ორი პატარა ვირთაგვა. ვირთაგვები წყნარათ
 იხსნდნენ ხელის გულზე და მხოლოდ მათი პატარა, წინ წა-
 მოწეული ღინგები და მძივის მავგარი თვალები მუდმივ მოძ-
 რაობაში იყვნენ.

„თაგუნები“! დაიყვირა მარომ და ხელი წაავლო პატარა
 ცხოველებს, რომელთაც ჯერ აღამიანი არ ენახათ და ამი-
 ტომ არაფრის არ ეშინოდათ. — თქვე ლამაზებო, რა შშვენნი-
 ერები ხართ... ვალერსებოდა მარო. — ბარიშნა, ეს თაგვი არ
 არის, ეს ვირთაგვაა, აგერ კუდი უბეწვო აქვს, თაგვის კუდი
 კი ბეწვიანია.“ — მართლაც მარომ დაინახა უშნო, შიშველა
 კუდი.

მაროს განზრახვა. უარი და დასტური.

მაროს პაწია ვირთაგვები მეტად მოეწონა. „მე ესენი
 უნდა გავზარდო“, უახრა გაშტერებულ თომას მარომ, სწრაფ
 ჩამოართვა ცხოველები და შინისკენ გაიქცა.

როცა დედამ ვირთაგვები მაროს ხელში დაინახა, თვა-
 ლებზე ხელი მიიფარა და შეშინებულის ხმით შეჰყვირა: „წაი-
 ყვანე აქედან, არ დამანახო.“ მარო გამობრუნდა.

„რა უყო ეხლა ამათ? რომ გადავაგდო შიშვილით დაი-
 ხოცებიან, ამათი დედა გაქცეულა და აღარ დაუბრუნდება
 შვილებს, იქნება მამამ რამე მიშველოს“ იფიქრა მარომ და
 მამის საქებნელათ წავიდა.

მამა ისე მკაცრათ არ მოექცა მაროს ობლებს, მაგრამ
 ისიც წინააღმდეგი იყო ვირთაგვების შინ დატოვების. „მაგათი
 მოშინაურება და მოვლა ძნელი იქნება შენთვის,“ უთხრა
 მაროს. „რათა?!“ — იმიტომ, რომ მაგას დაუძინარი მტერი
 ეყოლება, ჩვენი კატა და მერე კიდევ იმიტომ, რომ ვირთა-
 გვები როცა დაიზრდებიან ყველაფერს დახრავენ; ყოველ შე-
 მთხვევაში დედას ნებართვა თუ იქნა, მე ხელს არ შევიშლი,
 დასძინა მამამ მაროს თვალებზე ცრებლები რო დაინახა. ბევ-
 რმა ვედრებამ და ტირილმა გასჭრა და ვირთაგვების ბედი ისე
 გადაწყდა, როგორც ეს მაროს უნდოდა. მარომ კი შეჰფიცა
 დედას, რომ ვირთაგვებს თვალთაც არ დაგანახებ და ვეც-
 დები ღრღნას გადავაჩვიავო.



მ ა რ ო ს ა მ ა გ ი .

მარომ პატარა ცხოველები იმავე ქოთანში დასტოვა და თავის ოთახში ფანჯარაზე დასდგა. დაუღალავათ და მოთმინებით ეზიდებოდა ის რძეს თავის შვილობილებისთვის.

„ვირთაგვები მღრღნაფების საგვარეულოს ეკუთვნიან ისე როგორც ციყვი, კურდღელი და სხვები, ამიტომ ესენიც ძუძუთ მაწოვრები არიან“, — უთხრა მამამ მაროს. — როგორ, ამათაც ღელა ძუძუს აწოვებდა? — გაიკვირა მარომ. „აბა ამისთანა უსუსურებმა ჯერ რა უნდა სჭამონ“ — უპასუხა მამამ. როდესაც მარომ ლამაზაქით რძე დაუდგა პაწიებს, ისინი სულელურათ აქეთ იქით იცქირებოდნენ, არ იცოდნენ რა უნდა ექნათ, მაგრამ მარომ რომ რძეში დასველებული თითი ცხვირთან მიუტანა, პაწიებმა ხარბათ დაუწყეს მას ლოკვა. ვირთაგვები ბოლოს ისე მიეჩვივნენ მაროს, რომ მის ხმაზე გამოდიოდნენ ბუდიდან და ხელზედაც კი აცოცდებოდნენ ხოლმე.

დაუძინარი მტერი.

მტერს არ ეძინა. ერთხელ, როდესაც მარო სასწავლებელში მიეჩქარებოდა და კარები არ გამოიხურა, კატა ოთახში შეიპარა, გადმოაბრუნა ქოთანი და ერთი პატარა ვირთაგვა დაახჩო, მეორემ თავს უშველა და ის, შეშინებული და შორთოლვარე იპოვნა მარომ წიგნების უკან მიმაღული. ბევრი იწუხა მარომ ამ შემთხვევაზე. ცოცხლათ დარჩენილ ვირთაგვას „ტოპსი“ დაარქვა და გაორკეცებული ყურადღებით დაუწყო მოვლა.

„ტოპსი“

ტოპსი იზრდებოდა. მისმა თვლებმა უფრო ქვიანი გამომეტყველება მიიღეს. კარგი სანახავი იყო ტოპსი, როდესაც ჭამის შემდეგ თავის გასუფთავებას შეუდგებოდა. „ტოპსი კოპწიაობს,“ ამბობდა მამინ მარო. ის ჯერ დაიწმენდა კბილებით გრძელ და წვრილ ბრქვალებს, შემდეგ შეჯდებოდა უკანა თათებზე და წინა თათებს გადაისევამდა თავზე, ყურებზე ისე, რომ ბოლოს მისი ბეწვი ლამაზათ ბზინავდა. ტოპსის ძალიან უყვარდა მაროს ხელზე ჯდომა. ხშირათ ის

დაიძინებდა კიდევ ხოლმე სახელოს ან კაბის ნაკეცი შიშის მიმა-
ლული.

საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

ახალი ჩვეულება.

დრო მიდიოდა. ტოპსიმ რამდენიმე საკვირველი ჩვეულებ-
ა გამოიჩინა. როდესაც მარო ხელს უწვდიდა, ის აღარ ამო-
დიოდა ხელზე, მივარდებოდა მაროს ბრჩხილებს და დაუწყებ-
და ღრღნას თავის პაწია, მაგრამ უკვე ბასრი და მაგარი
კბილებით. დიდის სიამოვნებით ხრავდა ის პურის ქერქს,
შაქარს და ყოველგვარ შავარ სხეულს. მაროს ძალიან ეში-
ნოდა, რომ შემდეგში ტოპსის რამე ზარალი არ მოეტანა
ამნაირის ჩვეულებით; თან დედის ძალიან ვრიდებოდა, ახსო-
ვდა მიცემული სიტყვა. ბევრს ეცადა მარო, მაგრამ ტოპსი
ვერ გადააჩვია ამ ცუდ ჩვეულებას. ამის გარდა კიდევ სხვა
რამ შეატყო მარომ ტოპსის: ქამის დროს ტოპსის ლოყები
დაებერებოდა, თვალები ღრმად ემალებოდნენ და მთელი სახე
კრაზანის დაკბენილის ემსგავსებოდა. როდესაც ქამის მეორე
რიგი მოახლოვდებოდა, ტოპსი მაროს ხმაზე ისევ ლოყებ
ჩაეცვნილი გამოძკრებოდა. მარომ ბოლოს ეს ყველაფერი
შამას უამბო.

— საკვირველი ამაში არაფერი არის, შვილო — უთხრა
მამამ. — ტოპსიმ რომ არა ღრღნას, დიდ გაქარვებაში ჩავარდ-
ბა. შენც შეატყობდი, რომ ის წინა კბილებით ღრღნის. ეს
კბილები, ორი ზევით და ორი ქვეით, გრძელი, ბასრი და
მოკაკული, განუწყვეტილ იზრდებიან და თან ღრღნაში
იცივებიან. ტოპსიმ რომ ღრღნა შესწყვიტოს, ეს კბილები
უზომოდ გაიზრდებიან და ტუჩში და ნიკაპში ჩაერქობიან.
ასე აქვს მოწყობილი კბილები ყველა დანარჩენ ღრღნავს:
თაგვს, კურდღელს, ციყვს, თხუნელას და სხვას.

„ლოყები რაღათ ებერება?“ იკითხა მარომ.

— ეს იმისგან წარმოდგება, რომ მას პირში, ყბების
უკან, ტყავის ნაკეცები აქვს და ამ ნაკეცში, როგორც პარ-
კში, ტოპსი საქმელს ინახავს. შემდეგ, თავის სოროში ის
გამოიღებს ნაკეცებში შენახულ საქმელს და წყნარათ და
მშვიდათ შეექცევა.

„განა მე ვუშლი, რომ ჩემთან წყნარათ ქამოს, მე ხომ
არ ვაჩქარებ მას? ნაწყენის ხმით სთქვა მარომ.



— არა, ეს ჩვეულება ბუნებრივია; ვირთაგვას ყოველ
თვის ეშინია და ამიტომ სცდილობს რაც შეიძლება ~~ტყავს~~ ~~ინფორმაცია~~
გაათავოს ქაბა, მეტადრე თუ ის რაღეს იპარავს.

მამის ნათქვამმა მარო მეტად ჩააფიქრა.

პირველი უსიამოვნება.

ხვალ კვრია. მარო ქალიაქის ბაღში მიდის. იქ ხვალ სეი-
რნობა იპართება ობოლ ბავშვთა სასარგებლოთ. მარო მთე-
ლი დღე ტკბილ ოცნებაშია. ჯერ დაღამებულიც არ არის,
რომ ის იზახადებს ხვალისთვის თეთრ კაბას და ფეხსაცმელებს,
იქვე მაგიდაზე სდებს ჩალის კობტა ქუდს. ცხრა საათზე მარო
უკვე საწოლშია და ოცნებობს: „ხვალ ბაღში ბევრი ხალხი
იქნება, ჩემი ამხანაგებიც მოვლენ, მუსიკა. დაუკრავს, ლატა-
რის ბილეთსაც ავიღებ, დედა დამპირდა... რა კარგი ქუდი
მაქვს! ხვალ პირველათ დავიხურავ, ჩემ მეგობრებში იმისთანა
არავის აქვს“ მაროს ტკბილათ დაეძინა.

— ადექი, მარიკო, ჩაი გაგიცივდა—ტკბილად ესაყვე-
დურება დედა მაროსა. მაროს ეზარება ადგომა, მაგრამ დღევან-
დელი სეირნობა აგონდება, წამოვარდება ზეზე და საჩქაროთ
იცვამს. მარომ უკვე ჩაი დალია, თავის ოთახი მიაღაგა, გა-
მოვიდა გარეთ და აღვლვებული დადის აქეთ იქით. თორმეტ
საათზე დედამ უთხრა:—მოემზადეო.

მარო მზიარულათ იცვამს თეთრ კაბას, ახალ ფეხსაცმე-
ლებს და ქუდიც უნდა დაიხუროს; მაგრამ დახე უბედურებას!
—ქუდის ძირი მთლათ გამოხრულია. ხერელიდან „ტოპსი“
გამოიციქირება, მის გარშემო ჩალის ნამცეცები ჰყრია.

„უი, ამ საძაგელს რა უქნია,“ დაიყვირა მარომ და ტი-
რილით გაექანა დედისკენ. ახალი ქუდის ისე დაზიანება დე-
დას ძალიან ეწყინა. „უნდა ძველი ქუდი დაიხურო, მეტი რა
გზა გაქვს“—უთხრა დედამ მაროს.

იმ დღეს მარომ კარგათ ვერ იმზიარულა, ყოველ წამში
ტოპსის ვერაგობა აგონდებოდა და ცრემლი ერეოდა თვა-
ლებში.

მასწავლებელმა რა სთქვა.

— მამა, რომ იცოდე მასწავლებელმა რა გვითხრა დღეს,
სტამბოლში ქირი გაჩენილა და ეშინიათ ჩვენ ქალაქშიაც



არ გაჩნდეს. თურჲე ვირთაგეები აგრცელებენ ჳირს და ამიტომ მათ საშინლად სდევნიან, სხვა და სხვა საწაჲლავს რჩიან და მახეს უგებენ. საბრალო ჩემი ტოპსი რომ იქ იყვის, ვინ იცის რა დღე დაადგებოდა. უნდა გამოგიცხადო, მამიკო, სთქვა დაბალის ხმით მარომ, რომ მე სრულებით არა მწაჲს, რომ ჳირს ვირთაგეები აგრცელებდენ. შენა გჯერა?

— მე კი მჯერა, რადგან ვიცი, როგორ აგრცელებენ ვირთაგეები ჳირს. ვირთაგეა თვითონ გახდება ავით ჳირით და შეჲდღე სხვებს გადასდებს ამ ავითმყოფობას. ჳირიანი ვირთაგეა აღარ ერიდება აღამიანს, თავბრუ დასხჲული დადის ის ქუჩებში, ოთახებში. ვირთაგეას მუდამ ბევრი რწყილი ახვევია. ჳირიანი ვირთაგეას რწყილმა რომ აღამიანს უკბინოს, უთუოთ ჳირს გადასდებს.

მაროს ერუანტელმა დაუარა ტანში.

ჩვენ ხომ ჳირისა არ უნდა გვეშინოდეს, ჳირიან ვირთაგეებს აქეთ რა უნდა, სტამბოლს ისე შორს არის. სთქვა მარომ.

ამაჲე მამამ უამბო, რომ ეს მღრღნავები ძალიან გამბედავი მოგზაურნი არიან. ხშირათ ისინი ჩაცვივდებიან ნაპირიდან წყალში, აცოცდებიან გემზე და იქ მოიკალათებენ. როცა გემი სხვა ქვეყნების ნაპირს მიადგება, ვირთაგეები გადმოვლენ მიწაზე და ბრავლდებიან ახალ ქვეყანაში.

ტოპსი გაიზარდა. ის გარდაიქცა დიდ, რუხ ბეწვიან ვირთაგეათ, რომელიც შიშსა ჳგერიდა მის მნახველს. მაროს ძლიან უყვარდა. ეხლა ტოპსის აღარავისი არ ეშინოდა. ის თამამად გამოდიოდა მაროს ოთახიდან. კატა ანთებულის თვლებით უყურებდა მას, მაგრამ ახლოს მისვლას ვერა ჳბედავდა, რადგან ტოპსიმ ორჯერ ისე მაგრა უკბინა კატას ცხვირში, რომ იძულებული გახდა შორიდან ცქერით და მწყრალი ჩხავილით დაკმაყოფილებულიყო.

მოულოდნელათ ტოპსის უბედურება დაემართა. ქალაქი, სადაც მაროს ცხოვრობდა, შავი ზღვის პირათ იყო გადაშლილი. ის ცნობილი იყო თავის ნავთსადგურით, სადაც ხშირად ჩერდებოდენ ოკეანის დიდი გემები. იქ დაინახავდით ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების გემებს, რომლებიც სტამბოლში ჩერდებოდენ მოგზაურობის დროს. ამიტომ ყოველთვის შესაძლებელი იყო შავი ჳირის შემოტანა ნავთსადგურში და იქიდან ქალაქში. ქალაქის მმართველობამ სასტიკი ზომები



მიიღო, რომ ამ სენს აქაც არ ეჩინა თავი. ვარდა, რომ ქალაქი გაასუფთავეს, ვირთაგვებს დაუწყეს დევნა, გეს მახეები, დაუყარეს საწამლაღი და თითო მოკლულ ვირთაგვაში 50 მან. ჯილდო დანიშნეს. ქუჩის ბიჭები თავგების და ვირთაგვების დევნაში დღე და ღამეს ასწორებდნენ.

იმ ეზოში. სადაც მარო სცხოვრობდა, ოთახი ეჭირა ღურგალს. ღურგლის უფროსი ვაჟი გაშმაგებით დაეძებდა ვირთაგვებს და აგროვებდა ფულს. დიდი ხანია ის თვალს ადევნებდა „ტოპსის“ და ფიქრობდა მის დაჭერას.

„მარო მხოლოდ თავს იქცევს, მე კი ფულს მოვიგებო“. იმან მიუტანა მაროს მოწამლული ქონის ნაჭერი და უთხრა, რომ ეს ვირთაგვების საყვარელი საკმელია. მარომ, რომელიც არ აკლებდა ტოპსის გემრიელ საკმელებს, ქონი ტოპსის აქაზა. ნახევარ საათის შემდეგ ტოპსი დიდ წვალეზაში მოკვდა. შწარეთ გამოიტირა მარომ თავის საყვარელი ტოპსი და დიდის ამბით ბაღში დამარხა. აქედან ტოპსის გვამი ამოიღო ღურგლის ვაჟმა და გაჰყიდა ხუთ თუმნათ.

ელენე.






რედაქციაში იუიდება სურათი
წარსულთა
ხსოვნას

ფასი 10 მანეთი.

წერაკითხვის საზოგადოებ.

წიგნის მალაზიაში (რუსთაველის პროსპ. № 9, სა-
სტუმრო „ორიანტის“ ქვეშ)


იყიდება შემდეგი ბელეტრისტული გამოცემანი: 1) ე. ნინოშვილი I ტომი; 2) მისივე II ტომი; 3) ვ. ბარნოვის I ტომი; 4) დ. კლდიაშვილის I ტომი; 5) მისივე II ტომი; 6) ან. ერისთავ-ხოშტარიასი „მოლიბუღ გზაზე“; 7) ვ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“; 8) მისივე კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“; 9) მისივე „მამიდა ასშაი“; 10) მისივე „რუხი მგელი“; 11) ლალიონის მოთხრობები; 12) ზოგიკეს „ახალი ტალღები“; 13) ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“; 14) მისივე „გლახის ნამბობი“; 15) მისივე „გზაგარის წერილები“; 16) „ოთარანთ ქვრივი“; 17) ლ. არდაზიანის „სოლომონ მეჯღანუაშვილი“; 18) „ბნელო“ მელანიასი; 19) შ. არაგვის-პირელი I ნაწ.; 20) მისივე II ნაწ.; 21) მისივე III ნაწ.; 22) მისივე IV ნაწ.



„ჯეჯილის“

ხელისმომწერთა საეურაღლებით.

რადგან საბეჭდავი ქალაქის უზოგენელობა და დაბეჭდვა ზღაპრულ ხარჯებს იწვევს, რედაქცია ველარ შესძლებს მისცეს ხელის მომწერლებს „ჯეჯილი“ იმ ფასში (ათ თუმანში) და სთხოვს ყველას დამატებით გამოუგზავნონ რედაქციას 400 მან., რომ ამ წლის ბოლომდე, შესძლოს რედაქციამ შემდეგი 5 წიგნ. დაბეჭდვა.



საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

დაარსებული 1890 წ.

მიიღება ხელისმომწერა 1920 წ.

თითქმის ყველა წლების „ჯეჯილები“ იყიდება რედაქციაში და ღირს თითო წლისა 120 მან.

ჟურნალში ორი განყოფილება: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ძველი წლების „ჯეჯილები“ ღირს თითო წლისა 150 მ.

წლიურათ ეღირება 500 მანეთი,

მისამართი: თფილისი, საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილის“ რედაქცია (არტილერიის ქ. № 5).

რედ.-გამ. ან. წერეთლისა.